619
1972

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

№ 10
ოქტომბერი
1973




ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით 18 სექტემბერს სოფიაში მეგობრული ვიზიტით ჩავი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ ი. ბრეჟნევი. სურათზე: აეროპორტში შეხვედრის დროს.



სოფია. 19 სექტემბერს „უნივერსიადის" დარბაზში გაიმართა სოფიის მშრომელთა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სოფიაში ყოფნას. სურათზე: ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა.

საქდესი (მიღებულია საქინფორმის ფოტოტელეგრაფით)

## ნომერშია:

### გალაკტიონ ტაბიძის დაბადების 80 წლისთავი

გ. ნატროშვილის წერილი „პოეტის უკვდავება".

ლ. სულაბერიძის ლექსი „დედა".

პოეტის ჩანაწერებიდან.

გალაკტიონის უცნობი ლექსი და სხვ.

### ხუთწლედის ადამიანები

სემინარი ქარხანაში (პ. ჩიგოგიძის წერილი).

თავკაცი (რ. დავიდოვის ნარკვევი რუსთავის ამწეემშენებელი ქარხნის პარტბიუროს მდივან ბექარ ნაცვლიშვილზე).

დიდება თვითონ გიპოვის (მ. მუშკუდიანის ნარკვევი ხელვაჩაურის მეჩაიეებზე).

### პოეზია, პროზა

შ. ნიშნიანიძის ლექსი „ვენახი"

ს. კლდიაშვილის ორი პატარა მოთხრობა.

### მეცნიერება

ა. შანიძის „ალფა და ომეგა"

### უშრეტი წყაროსთვალი

ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები

გარდა ამისა ჟურნალში ქვეყნდება მასალები სპორტზე, კინოხელოვნებაზე და სხვ.

გარეკანის პირველ გვერდზე — გალაკტიონ ტაბიძე — ნახატი ალექსანდრე ბანძელაძისა. მეოთხე გვერდზე — ფოტოეტიუდი თ. არჩვაძისა.

საქ. კპ ცკ გამომცემლობა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 10 (448) ოქტომბერი, 1978 წ.

გამოცემის წელი 50-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

© „დროშა“. 1973









მთავარი რედაქტორი რევაზ მარგიანი.

სარედაქციო კოლეგია: გულნარა ბახტაძე, თენგიზ გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ვასილ კიკნაძე, ამირან კუსრაშვილი, ალექსი მინდაძე, დინარა ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ილია ტაბაღუა, უჩა ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი დავით სეფიაშვილი.
კორექტორი ტასო თაბორიძე.

ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია ხაზგასმით აღნიშნოს, რომ ახალი ხუთწლედის ამოცანათა წარმატებით შესრულებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ჩვენი კადრები უფრო ღრმად სწვდებოდნენ ეკონომიკის საკითხებს...

ცხოვრება განუწყვეტლივ ზრდის მოთხოვნებს კადრებისადმი. ჩვენ გვესაჭიროება ადამიანები, რომლებიც მაღალ პოლიტიკურ შეგნებულობას ახამებენ კარგ პროფესიულ მომზადებასთან, უნარი შესწევთ საქმის ცოდნით გადაჭრან ეკონომიკისა და კულტურის განვითარების საკითხები, დაუფლებული არიან მართვის თანამედროვე მეთოდებს.

ლ. ი. ბრეჟნევი

# სემინარი ქარხანაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოების ეკონომიკის ღრმად შესწავლა, ეკონომიკური განათლების ფართოდ გავრცელება განუზომლად დიდსა და კეთილისმყოფელ ზეგავლენას ახდენს მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის აღმავლობაზე. სწორედ ამიტომ სკკპ XXIV ყრილობამ ესოდენ დიდი ყურადღება მიაქცია მშრომელთა შორის ეკონომიკური ცოდნის ფართოდ გავრცელების საქმეს.

ამ მიზანს ემსახურება ეკონომიკური პრობლემების შემსწავლელი სემინარი, რომელიც უკვე მეორე წელია ნაყოფიერად მუშაობს ს. მ. კიროვის სახელობის თბილისის ჩარხმშენებელ ქარხანაში. ამ წერილში ჩვენ გვინდა მკითხველს მოვუთხროთ ამ სემინარის მუშაობაზე.

მე მთელი გატაცებით მოვეკიდე ამ საქმეს, როცა ხსენებული სემინარის ხელმძღვანელობა დამავალეს. პირველ რიგში შევეცადე სემინარის მუშაობა ისე წარმართულიყო, რომ ქარხნის მუშაკთა ეკონომიკური განათლების გაღრმავება და ამაღლება უშუალოდ დაკავშირებოდა ჩვენს პრაქტიკულ საქმიანობას, რომ ამ სემინარს კეთილი კვალი დაეჩნია მთელი ჩვენი ვეება ქარხნის საქმიანობისათვის.

როგორც შარშან, ისე მიმდინარე წელს, ჩვენ ვსწავლობდით შემდეგ პრობლემას: „საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეკონომიური პოლიტიკის ძირეული საკითხია“.

სემინარში ჩაბმულია 17 მსმენელი, მათ შორის 14 პარტიის წევრია. აქ გაერთიანებული არიან საამქროთა და განყოფილებათა უფროსები და მათი მოადგილეები.

სემინარის მეცადინეობებზე ღრმად და საფუძვლიანად ვეცნობოდით სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებსა და დოკუმენტებს, განხილულ საკითხებს მჭიდროდ ვუკავშირებდით ჩვენი წარმოების საქმიანობას და კოლექტივის წინაშე მეცხრე ხუთწლედში წამოყენებულ ამოცანების გადაჭრას.

სემინარის მუშაობის ხასიათი რომ უფრო ნათელი იყოს, აქ ჩამოვთვლი იმ თემებს, რომლებსაც ჩვენ ვიხილავდით; ეს თემებია: წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ძირითადი მაჩვენებლები და გზები; სოციალისტური ეკონომიკის ამაღლების ფაქტორები; წარმოების შინაგანი რეზერვები და მისი გამოყენება; სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, როგორც წარმოების ეფექტიანობის ამაღლების გადამწყვეტი ფაქტორი; პროდუქციის მასალა-ტევადობის შემცირების, ნედლეულის, მასალების, ენერგიის მომჭირნეობით ხარჯვის სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა; ძირითადი ფონდების სტრუქტურა და მისი ეფექტური გამოყენება; საბრუნავი ფონდების დანორმვა და ორგანიზაცია; მმართველობის სისტემა და მეურნეობის გაძღოლის მექანიზმის სრულყოფა და სხვ.

ამ საკითხებზე რეფერატები მოამზადეს და სემინარის მეცადინეობაზე წაიკითხეს ქარხნის საწარმოო-სადისპეტჩერო განყოფილების უფროსმა ავთანდილ ბრეგვაძემ, ამ განყოფილების უფროსის მოადგილემ ავთანდილ დათებოვმა, მომარაგების უფროსმა შოთა ადამიამ და სხვებმა.

შესასწავლი თემის განხილვისას ხშირად წამოიჭრებოდა ხოლმე პრაქტიკული საკითხები ჩვენი წარმოების და კოლექტივის საქმიანობასთან დაკავშირებით. მაგალითად, როდესაც შევისწავლეთ თემა — „ძირითადი ფონდების სტრუქტურა და მისი ეფექტური გამოყენება“, იმავე დროს დაწვრილებითი ანალიზი გავუკეთეთ ჩვენს ქარხანაში შექმნილ მდგომარეობას; მომდევნო მეცადინეობაზე კვლავ ჩვენს ქარხანას დავუბრუნდით, შევისწავლეთ მანქანა-დანადგარების არაინტენსიური გამოყენების მიზეზები, შევჩერდით მასალების და მზა ნაკეთობების ზენორმატული მარაგის წარმოქმნის მიზეზებზე და მისი აღმოფხვრის გზებზე.

ყველასათვის კარგად არის ცნობილი, თუ წინსვლის რაოდენ მძლავრ ბერკეტს წარმოადგენს სოციალისტური შეჯიბრება. ჩვენ ორი მეცადინეობა დავუთმეთ სოციალისტური შეჯიბრების გაშლას და მის ამოცანებს თანამედროვე ეტაპზე. ამ საკითხზე სემინარზე რეფერატით გამოვიდა მე-8 საამქროს უფროსი თენგიზ პაიჭაძე. მან აღნიშნული საკითხი მჭიდროდ დაუკავშირა ქარხნისა და საამქროს ამოცანებს, შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდის შიდასაწარმოო რეზერვების გამოვლინებასა და გამოყენებაში სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციისა და გაშლის მნიშვნელობას, მსმენელებს მოუთხრო იმის თაობაზე, თუ როგორ დანერგა მან თავის საამქროში მოსკოვის ქარხანა „დინამოს“ მეთოდი და იმ სიახლეებზე, რომელიც გატარებული იქნა ამ სფეროში.

ვფიქრობთ, სემინარზე შესწავლილი საკითხები, აქ შეძენილი ცოდნა დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენს მუშაკებს პრაქტიკული მუშაობის დროს. ეს იყო ფრიად დროული და სასარგებლო ღონისძიება; გადაუდებელი ამოცანები, რომლებიც ჩვენს წინაშე დგას, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას მოითხოვენ.

აქ პირველი რიგის ამოცანად დგება ტექნიკის სიახლეთა დანერგვა. ერთი თანამედროვე ჩარხი, ციფრობრივი პროგრამული მართვით, ცვლის ათეულ მოძველებული კონსტრუქციის ჩარხს; ამით აიხსნება, რომ ამ ბოლო წლებში ჩარხებს პროგრამული მართვით სულ უფრო ფართოდ იყენებენ მანქანათმშენებლობაში.

სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების თანახმად ასეთი ჩარხების გამოშვება უნდა გადიდდეს 8,5-ჯერ. რა გაკეთდა ამ მიმართულებით კიროვის სახ. ჩარხსამშენებლო ქარხანაში?

ქარხანამ ჯერ კიდევ 1970 წელს შეიძინა სამი სახარატო ჩარხი პოზიციური ციფრობრივი პროგრამული მართვით. ამ ჩარხებზე ავითვისეთ და დავნერგეთ სერიული წარმოების 12 დასახელების დეტალის დამზადება. მას შემდეგ ქარხანაში მივიღეთ სხვადასხვა დანიშნულების ჩარხები პროგრამული მართვით.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ამჟამად ქარხანაში 22 ასეთი ჩარხი მუშაობს, რომლებიც განლაგებულია ორ სპეციალურ უბანზე.

ამ რთულ ტექნიკას ემსახურებიან შედარებით დაბალი კვალიფიკაციის მუშები, რომელთა მოვალეობას შეადგენს დასამუშავებელი ნამზადის დაყენება და დამუშავების შემდეგ მისი მოხსნა. სხვა პროცესები ჩარხში მიმდინარეობს ავტომატურად, წინასწარ დადგენილი პროგრამის შესაბამისად.

აღნიშნული ტექნიკის დანერგვით მნიშვნელოვნად შემცირდა პროდუქციის შრომატევადობა, ამაღლდა დამუშავების ხარისხი, მიღწეული იქნა ეფექტიანობის ამაღლება.

სემინარზე ამ საკითხს რომ ვიხილავდით, იმ საამქროს უფროსმა, სადაც პროგრამული მართვით ჩარხების უბანია, გურამ მამალაძემ ყურადღება გაამახვილა ჯერ კიდევ გამოუყენებელ რეზერვებზე და იმ ხარვეზებზე, რასაც ადგილი აქვს ჩვენს ქარხანაში. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ ამ ჩარხების ეფექტური გამოყენებისათვის საჭიროა გაუმჯობესდეს სამუშაო ადგილების მომარაგება ტექნიკური დოკუმენტაციით, იარაღებით, დამხმარე მასალებით, ნამზადებით და სხვა.

ახლა ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ აღნიშნული ჩარხების რაციონალურად დატვირთვის საკითხს.

როდესაც სემინარზე ვსწავლობდით საკითხს შიდასაწარმოო რეზერვების გამოყენების შესახებ, საამქროთა უფროსებმა ევტიხი კოვზინაძემ და შოთა ქადაგიშვილმა თავიანთ გამოსვლებში გაამახვილეს ყურადღება ქარხანაში, საამქროებში და უბნებზე არსებულ ორგანიზაციულ და ტექნიკურ მიზეზებზე, რომლებიც იწვევენ სამუშაო დროის დანაკარგსა და საწარმოო სიმძლავრეთა არაინტენსიურ გამოყენებას.

სამუშაო დროის დანაკარგებს შეიძლება ადგილი ჰქონდეს მოწყობილობის უწესივრობის გამო, რომელიც მუშაობის პროცესში წარმოიქმნება. ასეთი სახის მოვლენებთან ბრძოლა და მისი ლიკვიდაცია გაცილებით ძნელია. მას უნდა დავუპირისპიროთ მანქანა-დანადგარების სწორი მოვლის, ექსპლოატაციის, მიმდინარე, გამაფრთხილებელი და გეგმური შეკეთების კომპლექსური ღონისძიებანი.

ქარხანაში დამუშავებულია და ხორციელდება სათანადო ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია სამუშაო დროის დანაკარგების სალიკვიდაციოდ და მანქანა-დანადგარების ეფექტიანი გამოყენებისაკენ. გარკვეული სამუშაოები იქნა ჩატარებული მორალურად და ფიზიკურად მოძველებული დაზგების წარმადობის ასამაღლებლად და ტექნოლოგიურ შესაძლებლობათა გასაფართოებლად. ამ ბოლო წლებში ქარხანაში მოდერნიზაცია გაუკეთდა 6 სხვადასხვა დანიშნულების ჩარხს, რის შედეგადაც გადიდდა მათი წარმადობა და ეფექტიანობა.

განსაკუთრებით წარმატებით ჩაიარა შემაჯამებელმა მეცადინეობამ. ამჯერად ყველა მსმენელს მიეცა კონკრეტული დავალება განვლილი მასალიდან; რეფერატი თემაზე — „მართველობის სისტემისა და მეურნეობის გაძღოლის მექანიზმის სრულყოფა" წაიკითხა სემინარის მსმენელმა თენგიზ პაიჭაძემ. იმავე მეცადინეობაზე, გარდა განვლილი მასალებისა, შევისწავლეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის მასალები.

სემინარმა ბევრი რამ შესძინა ჩვენს ქარხანას. ოღონდ საჭიროა არ დავკმაყოფილდეთ მიღწეულით და კვლავაც განვაგრძოთ ეკონომიკური ცოდნის ამაღლება ჩვენს მუშაკთა შორის.

**პავლე ჩიგოგიძე,**
კიროვის სახ. ჩარხმშენებელი ქარხნის დირექტორის მოადგილე.

## ხუთწლედის ადამიანები

# ოცნება თვითონ მიჰყავს

### ბრიგადირი

დიდ, სასახელო საქმეებს შრომისა და მონდომების გარდა, სხვა რაღაც სჭირდება. ესაა გატაცება, ოცნება, ურომლისოდაც არ გათხრილა არხები, არ აღმართულა კაშხალები, არ გაფრენილან კოსმოსში.

პიროვნებას, რომლის შესახებაც ჩვენ მოგითხრობთ, ოცნებისა და გატაცების გარეშე არაფერი გამოუვიდოდა. ამის უნარი კი ბავშვობიდანვე გაჩნდა ანზორ დარჩიას, როცა ბათუმის სამხატვრო სკოლის მოსწავლე ლამაზ ფერებსა და ლამაზ სიცოცხლეზე ოცნებობდა.

ხდება ხოლმე, არჩეული პროფესიის, მფრინავის ნაცვლად, ვთქვათ, მასწავლებელი გამოდიხარ, მასწავლებლის ნაცვლად — ექიმი... იცვლი პროფესიას, შენში კი უცვლელი რჩება გატაცება, ოცნება...

ანზორ დარჩიამ ბათუმის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სამხატვრო აკადემიის ნაცვლად ხერსონის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ჩააბარა მისაღები გამოცდები...

აგრონომიული ფაკულტეტის დაუსწრებელი სწავლების სტუდენტი, ლექციებს ხერსონში უსმენდა, პრაქტიკულ გამოცდილებას კი მახვილაურის საბჭოთა მეურნეობაში ღებულობდა. მეურნეობაში თავიდანვე შეამჩნიეს საქმიანი, ენერგიული ახალგაზრდა. ამიტომაც იყო, რომ იგი კომკავშირელი ახალგაზრდების თავკაცად აირჩიეს და ბრიგადა ჩააბარეს. ანზორმა ერთ დღეს გაბედულად შეაღო მთავარი აგრონომის კაბინეტის კარი.

— დათიკო ბიძია, თქვენთან საქმე მაქვს...

აგრონომმა ყურადღებით შეათვალიერა ახალგაზრდა ბრიგადირი.

— დაჯექი...

— ბრიგადა მინდა ჩამოვაყალიბო...
— დაიწყო ანზორმა.

— ბრიგადა? შენს ბრიგადას რა ჩამოყალიბება უნდა, ბიჭო, ოთხი წელია მაგ ბრიგადას ხელმძღვანელობ!
— გაუკვირდა დავითს.

— აი, ყველა ბრიგადაში რომ ახალგაზრდები არიან გაბნეულნი, ეს ახალგაზრდები რომ შევკრიბოთ და ერთ ბრიგადაში გავაერთიანოთ...

— შესანიშნავია, კარგად მოგიფიქრებია, მე მხარს გიჭერ, ყოჩაღ! — სიხარული ვერ დამალა დავით ძნელაძემ.

ასე ჩამოაყალიბა მეურნეობაში კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა.

ახალგაზრდებს მეურნეობამ 26 ჰექტარი ციტრუსების პლანტაცია გამოუყო, საიდანაც უნდა მიეღოთ 106 ტონა მანდარინი, 14,5 ტონა ფორთოხალი, 5.000 ცალი ლიმონი.

— თითქოსდა ჯიბრზეო, იმ წელს საშინელი ამინდები დადგა — იგონებს ანზორი, — მეურნეობაში ყველას იმის ფიქრი აღარდებდა, გეგმა შესრულდება თუ არაო. გადაჭარბებაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტი იყო. ბრიგადის წევრები უკმაყოფილოდ ბუზღუნებდნენ, რაღა ახლა დაგვატყდა თავს ასეთი რისხვაო... გული მაინც არ გავიტეხეთ, და აი, ბრიგადამ 158 ტონა მანდარინი, 28 ტონა ფორთოხალი, 6.000 ცალი ლიმონი და გეგმით გათვალისწინებული 5,5 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთლის ნაცვლად 6,2 ტონა ჩააბარა სახელმწიფოს.

ასე იქცა ოცნება სინამდვილედ.

ახალგაზრდები გრძნობდნენ, რომ ამ გამარჯვებით ყველაფერი როდი დამთავრდა... მთავარი კიდევ წინ იყო. უამინდობით დაზიანებულ ციტრუსებს თუ კარგად არ მოუვლიდნენ, ყველაფერი წყალში ჩაიყრებოდა. საგონებელში ჩავარდა ბრიგადირი:

„სასუქებს დროულად უნდა შეტანა. თუმცა, ეგ არაფერი, ამას ეშველება, მაგრამ... რატომ მაინცდამაინც შემოდგომაზე, ნაყოფის კრეფის წინ უნდა დაირგოს მეჩხერ ადგილებში ნერგები? კრეფის დროს ნერგი ზიანდება და შედეგიც სახარბიელო არაა. გაცილებით უკეთესი იქნება გაზაფხულზე დავრგათ. ნაყოფის მოკრეფამდე საკმაოდ მომძლავრდება და იოლად არ დაიღუპება. სახარბიელო არც ერთწლიანი ნარგავების დარგვაა... საკუთარი სანერგე რომ მოგვეწყო? სამ წელიწადში უკვე სამწლიანი ნერგი გვექნება... დღესვე მოველაპარაკები ბრიგადის წევრებს".

ახალგაზრდები ბრიგადირის ამ წინადადებას სიხარულით შეხვდნენ.

ასე შეიქმნა სანერგე.

პირველმა გამარჯვებამ დიდი სიხარული მოუტანა ახალგაზრდებს. თითოეული მათგანის გულმოდგინებამ, საერთო საქმის სიყვარულმა დიდი ნაყოფი გამოიღო, გაინტერესებთ მოწინავეები? ერთად გავიცნოთ ისინი, პლანტაციაში გავიდეთ.

— არა, ახლა ისინი საცაა, თვითონვე ამოვლენ, ჩაის მოიტანენ ფარდულში, — ამბობს ბრიგადირი.

— ვინ კრეფს დღეს ჩაის? — კითხულობს მთავარი აგრონომი.

— დუმბაძეები...

### დუმბაძეები

გარეთ პაპანაქება სიცხეა. ფარდულის წინ ევკალიპტების ჩრდილს შეფარებულები დუმბაძეებს ველოდებით. ბრიგადირი საათს დასცქერის:



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაის პლანტაციაში

— აგვიანებენ, ალბათ, ნაკვეთის დამთავრება უნდათ...

კარგა ხნის შემდეგ ტრაქტორის თუხთუხი მოისმა და თუხთუხში შერეული სიცილ-ხარხარიც გავარჩიეთ. მალე შარაგზაზე ტრაქტორიც გამოჩნდა. შარვლიანი გოგონები ჟივილ-ხივილით გადმოევლენ ტრაქტორს და გამარჯობის თქმა ძლივს მოასწრეს, გოდრებით ფარდულში შეცვივდნენ.

ფარდულის კარებთან ერთ-ერთი მათგანი შეჩერდა.

— როგორ ბრძანდებით, დათიკო ბიძია?

გაელიმა მთავარ აგრონომს.

— შენი ქორწილისთვის ვემზადები, ისეთი მრავალჟამიერი შემოვძახო...

— მზის კაბას თუ მაჩუქებთ, დათიკო ბიძია...

— მზის კაბასაც გაჩუქებ და ვეებერთელა ყანწსაც დავცლი...

— ეს არის ნაზი დუმბაძე, — გვანიშნებს ანზორი, — ეს კი, მისი და ეთერია, ის ქალი მათი დედაა... ის გოგონა ჟუჟუნა თურმანიძეა, ყოველთვის ამათთან ერთად მუშაობს და ერთმანეთს ეჯიბრებიან.

— დაგაგვიანდათ, — ეუბნება მათ ბრიგადირი.

— ცოტალა გვიკლდა და აღარ დავანებეთ თავი.

სათითაოდ აწონეს მოკრეფილი.

— პირველი მე ვარ, — ნიშნის მოგებით შეაჩერდა გოგონებს ნაზი.

— არაფერიც, განსხვავება დიდი არაფერია, — იცინიან „დამარცხებულები“.

ქალიშვილების მხიარული ხმებით ეზო ივსება.

— მარჯვე, შრომისმოყვარე ადამიანები არიან დუმბაძეები... მამა არა ჰყავთ, მაგრამ ერთი მათ სახლ-კარში შეიხედეთ, თუ იგრძნობთ უმამაკაცობას. შრომისმოყვარეობითაა რომ აქაც პირველები არიან და ოჯახის საქმეც საათივით აქვთ აწყობილი, — ამბობს დავით ძნელაძე.

## პლანტაციაში

ამ ადგილებს კახაბრის ველს უწოდებენ ხელვაჩაურელები. ვინ იცის, რამდენი რამის მოწამეა ეს მიწა...

მეორე დღეს დილაადრიან გავედით პლანტაციაში. ნაკვეთს მივუახლოვდით თუ არა, სიმღერის ხმა შემოგვესმა. ბრიგადირის დაუხმარებლად ვიცანი დუმბაძეები.

— ნაზი, ჩვენს სტუმარს უნდა ჩაის კრეფაში შეგეჯიბროს, — გასძახა ანზორმა.

— სიამოვნებით, მეც დავეხმარები კრეფაში, მეეჭვება, მაინც რომ მაჯობოს...

გაგვეცინა.

ჟურნალისტებს ბრიგადირმა დაგვასწრო და ფოტოაპარატი მოიმარჯვა. მივხვდით, საბრიგადირო პუნქტში მაგიდაზე რომ სურათები ეწყო, მისი გადაღებული იქნებოდა.

— ჩემი გადაღებულია, — დაგვეთანხმა ანზორი, — რამდენიმე კადრსაც მივუმატებ და სტენდიც მზად იქნება.

— ოღონდაც, ბრიგადირო, ცოტა კარგად გადაგვიღე, რაცა ვართ იმას ნუ დაგვიკარგავ, — თქვა ნაზიმ. სურათის გადასაღებად მომზადებული გოგონების სერიოზულ სახეზე სიცილმა იფეთქა.

ევკალიპტებით შემოჯარულ ოთხკუთხედ ნაკვეთში გადავედით.

— აქეთ, ნანული, აქეთ!... — გასძახა ანზორმა, — მოწინავეებო, მკითხეთ, ნანული ხიმშიაშვილი და მისი მეუღლე დავით კეკელიძე, მართლაც რომ მოწინავენი არიან, სამაგალითო კომკავშირული ოჯახი აქვთ...

ნანულიმ პირთამდე ავსებული გოდორი დადგა და ბრიგადირს მიუბრუნდა:

— ბრიგადირო, ერთი-ორი დღე უნდა დავასვენოთ ბუჩქები, დუყები წამოიზრდებიან.

დაეთანხმა ანზორი.

დავითი ზემო ნაკვეთში ვნახეთ. შავგვრემანი ვაჟკაცი მადლიანად იქნევდა ცელს.

მალე ახალგაზრდები გამოჩნდნენ. მათთან ერთად მოხუცი ქალი ხალისიანად თოხნიდა. ეს ქალი, პენსიაში გასული მელანია ბერნიკოვა, დღეს თავის ქალიშვილს, ზინას, გამოჰყოლოდა.

აღმართზე ასვლისას ერთ ეზოში შევისვენეთ. ჩვენი ყურადღება აივნიანმა სახლმა, მორებისაგან ნაშენმა რუსული სტილის სამზარეულომ, ნალიამ და პატარა საქათმემ მიიპყრო...

— მეურნეობაში საუკეთესოდ მოწყობილი სახლ-კარისათვის ჩატარებულ კონკურსში პირველი ადგილი სწორედ ამ ოჯახის პატრონმა მოიპოვა, — გვითხრა ბრიგადირმა.

ფერდობს ავუყევით. გარშემო გამეფებულ სიჩუმეს ტრაქტორების გუგუნი არღვევდა. სპეცტანსაცმელში გამოწყობილი ადამიანები ნერგებს წამლავდნენ. მერე შორს დარჩა ტრაქტორების გუგუნი, და ფერდობს თავში მოვექეცით. აქედან ხელისგულივით მოჩანდა მთელი ხელვაჩაური, შორს დასალიერზე ნებიერად მისვენებული მზე.

ალბათ, ყოველდღე, პლანტაციების შემოვლის დროს, ამ ადგილზე შეჩერდება ბრიგადირი და როგორც მთავარსარდალი, ამაყად გადახედავს შრომის ველს.

## „ცოტა“ რამ საზრუნავი...

— წელს ხუთწლედის პირველი წელია, საგაზაფხულო სამუშაოები დროულად და კარგად ჩავატარეთ. თქვენი თვალით ხედავთ, როგორ მუშაობენ ჩემი ბრიგადის წევრები, წინ დიდი საზრუნავი გვაქვს... — გვითხრა ანზორმა.

საზრუნავი? მართლაც, რომ დიდი აქვთ! ამას წინათ გამართულ რესპუბლიკის კომკავშირული აქტივის კრების მიმდინარეობისას მახვილაურის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის წევრები პირველები გამოეხმაურნენ მახარაძის რაიონის ასკანის ახალგაზრდული რგოლის თაოსნობას — ხუთწლედის პირადი გეგმა — სამ წელიწადში.

— მომწონს და მახარებს ახალგაზრდების ასეთი შემართება. ამას წინათ კრებაზე სიტყვით გამოვიდა ბრიგადირი, ისაუბრა თუ რა დიდი პასუხისმგებლობის წინ არის ბრიგადა და როგორი მონდომებაა საჭირო, რომ სიტყვა საქმედ აქციონ. მთელი მეურნეობა ძალ-ღონეს არ დაიშურებთ, ხელს შევუწყობთ ახალგაზრდებს, რათა პირნათლად შეასრულონ ეს დიდი საქმე, — თქვა მეურნეობის დირექტორმა ამირან თავდგირიძემ.

ახალგაზრდები ხვალინდელ დღეზე ოცნებობენ. საცაა შემოდგომა კარზე მოგვადგება და მთელი წლის ნაშრომს ერთად მოიმკიან. ხელდამშვენებულები ერთხელ კიდევ დარწმუნდებიან, რომ მათი ოცნება სინამდვილედ იქცევა.

ჩვენ კი გვჯერა მათი.

გადავდიოდით პლანტაციიდან პლანტაციაში, ვხედავდით მზით გარუჯული გოგო-ბიჭების საქმიანობას, ვუყურებდით, დამქანცველ სიცხეში როგორ ამაყად იდგნენ ჩაის ბუჩქებთან და უნებურად ერთი ჩვენი კოლეგის სტატია გაგვახსენდა, რომელიც ასე მთავრდება:

„არ არის აუცილებელი იყო ბეთჰოვენი ან აინშტაინი, იყავი სამშობლოს ღირსეული შვილი და, რასაც არ უნდა აკეთებდე, არავითარ შემთხვევაში დიდება გვერდს არ აგიქცევს, ის თვითონ გიპოვის“.

ჩვენც ასე გვინდა დავამთავროთ.

**მანანა მუშკუდიანი**



# ხუთწლედის ადამიანები

ბიბლიოთეკა

ზოგჯერ ადამიანი თითქოს უცბად იღებს გადაწყვეტილებას — ცხოვრების რომელ გზას დაადგეს: წავიდეს პირდაპირ ქარხანაში სამუშაოდ თუ ეწვიოს უმაღლესი სასწავლებლის კარებს. ალბათ, მეტალურგიის სიყვარულმა შთააგონა ბექარ ნაცვლიშვილს, რომ მან მილების ცეცხლმჭრელობიდან სულ მოკლე ხანში ბრიგადირობას მიაღწია. ერთხანს არჩეული იყო საამქროს კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად, ქარხნის კომკავშირის კომიტეტის წევრად. შემდეგ ალკკ ქალაქკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ გადაჰყავთ. მერე ისევ წარმოებას უბრუნდება. სულ მოკლე ხანში რუსთავის ამწემშენებელი ქარხნის მთელ კოლექტივში ისეთი სიყვარული და ნდობა დაიმსახურა, რომ ქარხნის კომუნისტებმა იგი თავიანთ თავკაცად აირჩიეს. ბექარ ნაცვლიშვილი მხარში ამოუდგა ქარხნის დირექტორს ვალერიან პაპიაშვილს. ეს ის პაპიაშვილი გახლავთ, რომელიც რუსთავის მშენებლობის პირველ წლებში სათავეში ჩაუდგა ქალაქის კომკავშირის ორგანიზაციას. მრავალი წლის განმავლობაში იყო კომკავშირის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, მუშაობდა პასუხისმგებელ თანამდებობებზე პარტიულ და სამეურნეო უბნებზე.



ადამიანები, რომლებსაც მანამდე მხოლოდ სალმით იცნობდა ბექარ ნაცვლიშვილი, ახლა მასთან მოდიოდნენ პირად თუ საზოგადო საქმეებზე, მოჰქონდათ თავიანთი გეგმები, უზიარებდნენ თავიანთ ჭირსა და ლხინს. ერთი სიტყვით, ქარხნის მთელმა კოლექტივმა იგრძნო გულისხმიერი ახალგაზრდა პარტიული მუშაკის მზრუნველი და საქმიანი ხელი.



რუსთავის ამწემშენებელი ქარხნის მიერ დამზადებული სამშენებლო მექანიზმები იგზავნება ჩვენი ქვეყნის ასეულ ქალაქსა და დაბაში, საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში. ამწემშენებ-







ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავკაცი

ლები რეკლამაციის გარეშე მუშაობენ. შვიდი წლის განმავლობაში სისტემატურად აჭარბებენ სახელმწიფო დავალებებს.

რასაკვირველია, ამ მიღწევებში დიდი როლი ითამაშა პარტიულმა ორგანიზაციამ. თავიანთ კრებებზე კომუნისტები იხილავენ ტექნიკის გაუმჯობესების საკითხებს, ანზოგადებენ წარმოების მოწინავეების გამოცდილებას, იხილავენ სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს, სახავენ ახალ გეგმებს; პირადი მაგალითით შთააგონებენ მასებს ვადაზე ადრე შეასრულონ ხუთწლედის დავალება. ქარხნის ბევრი მოწინავე ხარატი, მლარავი, მემონტაჟე მუშაობს 1974 წლის ანგარიშში. დამკვრელ მუშათა შორის უმეტესობა კომუნისტია. როდესაც კომუნისტებს უნდათ რაიმე თაოსნობა გამოიჩინონ, ისინი მიდიან პარტბიუროს მდივანთან რჩევისათვის, დახმარებისათვის, მხარდაჭერისათვის.

ბექარის დიდი ხნის ოცნება ასრულდა — რუსთავის ერთ-ერთი დიდი ქარხნის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მე-4 კურსის სტუდენტია.

ბექარი კარგი მეოჯახეც არის. მისი მეუღლე ბუღალტერია, ჰყავს ორი შვილი: 11 წლის დიანა და 6 წლის ბესიკი.

მუშა, მომავალი ინჟინერი, კომუნისტების წინამძღოლი, თავის ბედნიერებას, თავის სიხარულს ხალხის შემოქმედებით შრომაში ხედავს.

 რ. დავიდოვი



- ბექარ ნაცვლიშვილი.
- პარტბიუროს მდივანს ხშირად ნახავთ ქარხნის საამქროებში.
- ბექარ ნაცვლიშვილი — თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტი.
- მზა პროდუქცია კუბისთვის.
- პარტბიუროს მდივანი მოხსენებას ამზადებს მომავალი კრებისათვის.
- გულითადი საუბარი.
- ბექარ ნაცვლიშვილი და პატარა ბესიკი.

ფოტო ა. რუხაძისა.



ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ვენახი

შოთა ნიშნიანიძე

ქართველისათვის შენ ხარ ბიბლია
და, ალბათ, კერპიც პირველყოფილი,
პირველი ცოდნა და ბედ-იღბალი
დაბადებიდან თანდაყოლილი.

თუ უცხოეთში შეგხვდა ქართველი,
ალბათ, შეგხვდება სულის ყიჟინით
და ეგონები ბიბლიამდელი
გაძევებული მამულიშვილი.

წარსული თუმცა იყო წყეული,
დიდი გამოცდაც იყო წარსული —
აკვანზე გჭრიდი შვილწართმეული,
ტაძარზე გთლიდი ღმერთგაძარცული.

თავს გვატყდებოდა მტარვალი მეხად,
გულით ვერაგი იყო მტარვალი:
ვაზს აჩეხავდა, რომ აეჩეხა
ჩვენი წარსული და მომავალი.

ვაზით წერია მზისქვეშ, მიწისქვეშ
ქართული ტომის ბიოგრაფია.
მე საფლავშიაც ვერ გაგეთიშე, —
შენმა ფესვებმა იქ მომაკვლია.

და რაკი ჭერქვეშ სიცილ-ტირილი
ჩხებივით არი შენატყუბარი,
ჭირშიც და ლხინშიც შენ ხარ ქვითკირი,
ავკარგიანი ჭირისუფალი.

ცას მიაწერე შენი ხელწერა,
ხეზე გასულო ბიბლიის ბწკარო,
ბებერი ფესვით მიწას ეძგერე
და შეისუტე სიცოცხლის წყარო.

მოდი, შუშხუნა მზე დაახვავე
საბედნიეროდ და სასახელოდ
და მარადმწვანე ლეგენდასავით
შემოეხვიე მთელ საქართველოს.

გიორგი ნატროშვილი



# პოეზიის უკვდავება

1917 წელი. პეტროგრადი. სმოლნი. შვიდი ნოემბერი... ამ დღეს თენდება პირველი დილა კაცობრიობის ახალი ისტორიისა.

პეტროგრადის ქუჩებში დადის მაღალი, გამხდარი, ფერმკრთალი ახალგაზრდა კაცი... თვალებში უცნაური ცეცხლი უნთია. დადის აღგზნებული, გახარებული. ეს არის იმ დროის საქართველოს ყველაზე დიდი პოეტი. და თითქოს თავისმა ხალხმა წარმოგზავნა აქ, რევოლუციის კერაზე, რომ პირველი მიესალმოს საქართველოს სახელით კაცობრიობის ახალ ისტორიას, დიდ ლენინს, მზიურ ოქტომბერს.

ეს გალაკტიონ ტაბიძეა.

უკვე იმ დროისათვის იგი სახელგანთქმული პოეტი იყო, აღიარებული ნოვატორი-შემოქმედი, რომლის ლექსში ქართველმა მკითხველმა იგრძნო ნაცნობი და საყვარელი ხმა, დაინახა ჭეშმარიტი და ღირსეული მემკვიდრე ბარათაშვილის, ილიას და აკაკის სახელოვანი ტრადიციებისა; იმავე დროს, ეს არ იყო ძველის უბრალო განმეორება, გალაკტიონს თავისი ახალი სათქმელი ჰქონდა, რომელიც მას თავისმა ქარიშხლიანმა ეპოქამ შთააგონა. ეს იყო ჭეშმარიტად ახალი პოეზია, თვით პოეტისავე სიტყვით რომ ვთქვათ, „სიმართლისათვის მებრძოლი ლირიკა". ამ ახლებური პოეზიის შესანიშნავი განსაზღვრა თვითონ გალაკტიონმა მოგვცა თავის პოემაში — „საუბარი ლირიკის შესახებ", რომელშიც ვკითხულობთ: „სული პოეტის სარკე არის სივრცის, დროისა, სული პოეტის არის ცენტრი მსოფლიოისა, სული პოეტის არის მისი ყოფნის დღეები, არის ფოკუსი, ერთდებიან სად იდეები". მეორე ადგილას გალაკტიონი ამბობს: „მთავარი ძარღვი პოეზიის ზომაა, რითმა, მისით მარადის გაიელვოს შუქმა ბედითმა. მაინც იმაზე უმთავრესი სხვა დედაარსი არის მშვენიერ პოეზიის იდეა, აზრი. მათში იხსნება მგოსნის ძალა და მოქმედება. ისეთი, ყველას სიხარულად რომ მოედება და მოფარავს გზებს ვარდით, დაფნით და ალოეთი. იდეა, აზრი, ზომა, რითმა — აი, პოეტი".

აქ შესანიშნავად არის განსაზღვრული დედააზრი ახალი, მაღალიდეური მოქალაქეობრივი პოეზიისა, საბჭოთა ლირიკისა, რომლის უბრწყინვალესი და უბადლო ოსტატი, ფუძემდებელი და გზის გამკვლევი თვითონ გალაკტიონი იყო. იგი სრული უფლებით დგას ქართული საბჭოთა ლიტერატურის სათავესთან. მისი ქმნილებანი — საბჭოთა კლასიკის პირველი შესანიშნავი ნიმუშებია. მან, როგორც პოეტმა-ტრიბუნმა მთელი თავისი შემოქმედებით გვიჩვენა, რომ პოეტის გამარჯვებას განაპირობებს მისი განუყრელი ერთიანობა მთელი ხალხის სულთან. გალაკტიონის პოეზიაში მკითხველი თავიდანვე მოხიბლა და დაატყვევა ამ დიდმა ხალხურობამ, ლექსის უჩვეულო მელოდიურობამ და ჯადოსნურმა მუსიკამ, რომელშიც ასე განუმეორებლად გამოიხატა თვით რიტმი მღელვარე რევოლუციური ეპოქის წინსვლისა, გამოიხატა პათოსი კაცობრიობის ახალი ისტორიის ზეაღმავალი განვითარებისა.

გალაკტიონი სამართლიანად არის აღიარებული ახალი საბჭოთა საქართველოს პირველ და ყველაზე დიდ პოეტად; მისმა ლექსმა გამოხატა ქართველი ხალხის ყველაზე სანუკვარი მისწრაფებანი; მისი პოეზია — უბრწყინვალესი მატიანეა, სადაც ყოველ ფურცელზე ჩანს დიდი მღელვარება სულისა. დიდი სიყვარული სამშობლოსი, სიხარული, გამოწვეული ახლის ზრდითა და წინსვლით. გალაკტიონის პოეზიაში განუმეორებელი ფერადებით აისახა ის სულიერი აღმავლობა, ის გატაცება, ის დაუცხრომელი და ყოვლისშემძლე ენთუზიაზმი, რომელმაც მოიცვა ჩვენი სამშობლო პირველი ხუთწლედების ეპოქაში. აქ უნდა დავასახელოთ მისი „ინტერნაციონალი", „რევოლუციურ საქართველოს", „ახალი ქვეყანა შენდება", „ხმამაღლა, ხმამაღლა", „მოგზაურობა ვერცხლისფერი ბილიკით", „მწვერვალები ახალ მთების", „კოლხიდის დაბლობზე", „ძველი და ახალი ხიდი", „აწმყოს დიდება დიდი" და მრავალი სხვა ნაწარმოები, რომლებიც სოციალისტური რეალიზმის ლირიკის ფოლრესად დამახასიათებელ და ტიპიურ ნიშნებს შეიცავენ და ზუსტად ალბეჭდავენ ჩვენი დროის ადამიანების ფიქრებსა და განწყობილებებს.

პოეტი მუდამ მხარში უდგა თავის ხალხს. რამდენ ფართო და ძლიერი გამოხატულება ჰპოვა გალაკტიონის ლექსში იმ დიდმა საბრძოლო შემართებამ, რომელმაც მოიცვა მთელი საბჭოთა ხალხი დიდი სამამულო ომის წლებში: გალაკტიონმა უმღერა ქართველი ვაჟკაცების ღვაწლსა და თავდადებას, მათს გმირულ ბრძოლას სამშობლოსა და თავისუფლების დასაცავად და გადასარჩენად. გაიხსენეთ მისი „მშობლიურო ჩემო მიწავ", „მამულო, სიცოცხლეო", „ღრუბლები ძაუგთან", „მოგონება სევასტოპოლზე", „კავკასიონის კლდეებზე მეომარი დგას მზიანი" და მრავალი სხვა.

დღეს, როცა საბჭოთა ქვეყანა სათავეში უდგას მსოფლიო მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეს, როცა გატყდა ცივი ომის ყინული და მსოფლიოს ცაზე მშვიდობის შუქი და ნათელი უფრო და უფრო მეტი ძალით ბრწყინდება, არ შეიძლება არ გავიხსენოთ, თუ რაოდენ დიდი ამაგი დასდო საბჭოთა პოეზიამ, მთელმა საბჭოთა ლიტერატურამ მსოფლიოს სამშვიდობო მოძრაობას. ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვიამაყოთ იმით, რომ მსოფლიო მშვიდობისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში მუდამ იდგა ქართული მწერლობა. და პირველი ქართველი საბჭოთა პოეტი, რომელმაც ახალი საბჭოთა საქართველოს სახელი მსოფლიოს გზებზე გაიტანა — ეს იყო გალაკტიონ ტაბიძე. იგი, როგორც დელეგატი კულტურის დაცვის საერთაშორისო კონგრესისა, 1935 წლის ივნისში ეწვია პარიზს და, იმავე ხანებში, მოიარა თითქმის მთელი ევროპა. არ იყო შემთხვევითი, რომ ჩვენმა ხალხმა სწორედ გალაკტიონი წარგზავნა კონგრესზე, მოწინავე ინტელიგენციის იმ თავყრილობაზე, რომელიც იყო ჰუმანიზმის, კაცთმოყვარეობის მაღალი ტრიბუნა, პირველი ერთობლივი პროტესტი მსოფლიო ინტელიგენციისა იმ ბარბაროსობის, ველურობის წინააღმდეგ, ფაშიზმს რომ მოჰქონდა ქვეყნად.

ეს კონგრესი იყო დიდი ტრიბუნა, რომლიდანაც გონება და სინდისი კაცობრიობისა — შეშფოთებული ხალხთა ბედით და მათი მომავლით, ჰგმობდა შუა საუკუნეების ბნელეთს, რომელმაც იმ ხანებში უკვე აანთო თავისი ჯოჯოხეთური ხანძრები ევროპის შუაგულში და იმ ხანძრებში გადაყარა ყველაფერი საუკეთესო, რაც კი ადამიანის ძლევამოსილ გონებას შეუქმნია.

ხალხებმა იმ კონგრესზე თავისი ყველაზე რჩეული შვილები გაგზავნეს.

და როგორც ვთქვით, საქართველომ ამ კონგრესზე დელეგატად გაგზავნა გალაკტიონ ტაბიძე, პოეტი, რომელიც ჩვენს მწერლობაში პირველი მიესალმა კაცობრიობის ახალ გარიჟრაჟს, პირველმა შესძახა მთელი გზნებითა და მღელვარებით:

> გათენდა, ცეცხლის მზე აენთო, აცურდა,
> დროშები ჩქარა,
> თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,
> ვით დაჭრილ ირმების გუნდს — წყარო ანკარა...
> დროშები ჩქარა!

ამ გათენების, მზის ამობრწყინების დღიდან მოყოლებული მისი პოეზია ჟღერდა, როგორც მუსიკა რევოლუციისა; ამ დიდმა მემკვიდრემ ჩვენი კლასიკური პოეზიისა აქცია თავისი სული იმ სეისმოგრაფად, რომელიც აღბეჭდავდა ყოველ ნაბიჯს ახალი კაცობრიობისას, აღბეჭდავდა იმ დიდ ძვრებს, რომლებიც ხდებოდა მსოფლიოში.

ევროპაში მოგზაურობას და კულტურის დაცვის პარიზის კონგრესს პოეტმა მიუძღვნა ვრცელი ციკლი ლექსებისა, სადაც კვლავ გაისმა მკითხველისათვის ესოდენ ნაცნობი და მომხიბვლელი ხმა გალაკ-

ლადო
სულაბერიძე

# დედა



გალაკტიონის დედა მაკრინე ადეიშვილი (უკანასკნელი სურათი).

მამა სახლავით
        გავიდა გარეთ,
აღარ დაბრუნდა
        მერე კერასთან.
შეხვდი საწუთროს
        მშფოთვარე ქარებს
და ვერ გიქრობდა
        ხელში კელაპტარს.

შორს ბრდღვიალებდა
        მთაწმინდის მთვარე,
ქოხზე მირაჟი
        ენთო ფერადი.

ფრთიანი მუზა
        მოადგა კარებს,
როცა შენ ჩვილის
        პერანგს ჰკერავდი.

გითვალთვალებდა
        უცნობი ღამე,
დაკიდებული
        ღვთიშობლის ტაძარს.
გადაადექი
        რიონის ხრამებს,
გეხვია ნისლი
        და ქვრივის ძაძა.

შორს ბრდღვიალებდა
        მთაწმინდის მთვარე,
ხელით ათბობდი
        ყანის სინედლეს.
უცხო ჩიტები
        დაასხდნენ სარებს, —
შენს იავნანას
        იზეპირებდნენ.

მერე მუზებმა
        ფრთებზე შეისვეს
და გაიტაცეს
        მეცხრე ზეცისკენ.
შენ მარტოობის
        წლებმა შეგნისლეს,
ქოხს ჩაბნელებულს
        გადაეცისკრე.

ძლებდი, — გალობავს
        ლობეს გარღვეულს,
ლოდინით გული
        გადაგელალა.
ის სულდარბეულ
        და სისხლძარღვეულ
ლექსებს უწერდა
        მშობელ ქვეყანას.

წამოფრენილი
        დედის მკერდიდან
დედა-სამშობლოს
        ცას სწვდა ლოცვითა.
გულზე მამულის
        ცეცხლი ეკიდა,
ვიდრე მუზების
        თასს გამოცლიდა.

მერე დაასკდა
        მიწას ზეციდან,
შეიძრა ბორცვი
        შენი საფლავის.
მაშინ ყველაზე
        მეტად შეგცივდა
და მოიხვიე
        მზის თავსაფარი.

ლექსის ბწკარებზე
        დაკიდულ ზარებს
რეკდნენ მუზები,
        სულ მშფოთვარენი.
ის გულს მიიკრა
        მთაწმინდის მთვარემ,
მას შენსკენ დარჩა
        ღია თვალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიონისა, აღსავსე მგზნებარე პატრიოტიზმისა და ჰუმანიზმის უკეთილშობილესი გრძნობით.

როგორც ბევრ სხვა სფეროში, გალაკტიონმა აქაც, ამ თემაზეც უჩვენა გზა ჩვენს პოეზიას, მისცა შესანიშნავი ნიმუში იმისა, თუ როგორ და რა ასპექტში უნდა დაინახოს და გამოხატოს საბჭოთა ქვეყნის პოეტმა მანამდე არნახული ქვეყანა.

ზემოხსენებული ციკლის ერთ ლექსს, რომელიც პოეტს მარსელში დაუწერია, ეწოდება „ფიქრები სამშობლოზე“. პოეტი დასცქერის მარსელის პორტს, შორ გზებზე რომ ისტუმრებს გემებს და ისევ ფოთი და რიონი ახსენდება, მათ ეფერება, ეალერსება; ამავე განწყობილებითაა აღსავსე ლექსი „სადღაც დარჩა, შორს, სტოკჰოლმი“, მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა ერთი უსათაურო ლექსი, პარიზში დაწერილი, რომელშიც პოეტი ამბობს:

მეტყვი, როგორც ეს გრიგალი,
დამივიწყე მეცა,
გაიხსენე, შენ სამშობლოს
    მშვენიერი ზეცა.
მეტყვი, იგრძენ მუხის ქრქოლა
    შორი მინდვრიდანა,
როგორ მიდის, როგორ მოდის,
    როგორ ღელავს ყანა.

აქ მთელი ძალით იგრძნობა უნაზესი სულის თრთოლვა გალაკტიონისა, რომელსაც პარიზში ესმოდა შრიალი ქართული მუხებისა და შორეულ ქალაქში მას ელანდებოდა როგორ არხევს ნიავი საქართველოს ჯეჯილებს.

და როგორც ყველგან, გალაკტიონი აქაც მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო — მას შეეძლო გამოეხატა ცხოვრება მის მთლიანობაში, გადმოეცა ყველა ხმა და ფერი ბუნებისა, და ამასთან ყველა ნაბიჯი კაცობრიობის წინსვლისა ნათელი მომავლის გზაზე. ზემოხსენებული კონგრესიც მან აღიქვა, როგორც სინათლისა და სიმართლის მძლავრი შეტევა ფაშიზმისა და რეაქციული ბნელეთის წინააღმდეგ.

ამავე ციკლიდან აღსანიშნავია ლექსი „ანრი ბარბიუსი კონგრესზე“. ბარბიუსის სახელი მშვიდობისათვის, ადამიანის თავისუფლებისათვის, პროგრესისათვის ბრძოლის დროშა იყო; ბარბიუსმა თავისი სიყვარული ქართველი ხალხისადმი კარგად გამოხატა წიგნში „აი რა უყვეს საქართველოს“; სიყვარული მუდამ მოითხოვს სამაგიეროს და აი, გალაკტიონმა, მთელი ქართველი ხალხის სახელით, მადლობა გადაუხადა ბარბიუსს და სამუდამოდ უკვდავყო მისი სახე:

მას აქვს ღიმილი დაუვიწყარი,
თ ვ ა ლ ე ბ შ ი ც ნაზი, ლურჯი ბურუსი.
პარიზთან მჭიდროდ გადაზრდილია
ბარიკადები წითლად ნაბანი,
ეს პერ-ლაშეზი და ბასტილია
ზარბაზნების ხმა და ბარაბანი.

ამ ლექსში გალაკტიონს აღწერილი აქვს ის წუთები, როცა კონგრესის პრეზიდიუმში ის ბარბიუსის გვერდით იჯდა და ის განწყობილებანი, რომლებიც მაშინ მის სულს დაუფლებოდნენ. თვითონ ფრანგმა ხალხმა ბარბიუსი დიდი ხანია დააყენა თავის ყველაზე საუკეთესო შვილების — ჰიუგოს, ბალზაკის, ზოლას გვერდით და უპირველესმა ქართველ პოეტთა შორის გამოხატა თავის სულიერი ნათესაობა ფრანგული კულტურის ამ დიდ ოსტატთან, რომელიც მსოფლიოს დიდ მწერალთა შორის პირველი მიესალმა თავისუფალ საბჭოთა საქართველოს. ბარბიუსისა და გალაკტიონის ეს შეხვედრა — ძალზე ამაღელვებელი ფურცელია ხალხთა თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაში. და ამ ისტორიის დიდმნიშვნელოვანების გრძნობით არის დაწერილი ლექსი გალაკტიონისა.

ლექსში „ეიფელის კოშკზე“ გალაკტიონმა პარიზში გაიხსენა აკაკი წერეთელი, რომელიც ოდესღაც ესტუმრა ამ ქალაქს. და ჩვენდა უნებურად გვაგონდება იმ დღეების გალაკტიონი, რომელიც გმირებს უძახის, უყივის დიდი მსოფლიო კატაკლიზმების წინ; ქართველი საბჭოთა პოეტი მოუწოდებს ყველას დაირაზმონ ხალხთა სიცოცხლის გადასარჩენად; ამას ეძღვნება გალაკტიონის ლექსი „უცხოელი პოეტი“.

უმცროსმა ჩემზე რამდენიმე წლით
ცხოვრებას ადრე კვალი უძია,
როცა ჰკითხავენ — საით, რომელ გზით,
ის ამბობს — სადაც რევოლუცია!
გულით ამტანი მრავალთა ბედის,
იგი ერთგული პოეტის რაზმით,
სამოქალაქო გრიგალში შედის,
ჯერ არსმენილი ენთუზიაზმით.
როგორ უყვართ ის, ის ჩვენთან არის,
ის, ვისაც მედგრად და უანგაროდ,
ცეცხლში და წყალში ახალგაზრდობა
რომ თან გადაჰყვეს — მზადაა მარად!

გალაკტიონ ტაბიძის ეს მოგზაურობა და ლექსების ეს ციკლიც იყო ახალი თავფურცელი ქართული საბჭოთა პოეზიის ისტორიაში; აქ, ამ სფეროშიც მთელი ძალით გამოჩნდა ის სასიცოცხლო ენთუზიაზმი, ის მღელვარება სულისა, რომელიც მუდამ იტაცებდა მკითხველს ამ დიდი ოსტატის ლექსებში.

გალაკტიონის ეს ლექსები დღესაც შთააგონებენ ადამიანებს მთელი გატაცებითა და თავდადებით იბრძოლონ ქვეყნად მშვიდობის განმტკიცებისათვის.

საბჭოთა საქართველო, მოძმე ხალხის შვილებთან ერთად, ზეიმით აღნიშნავს დიდი ქართველი პოეტის დაბადების ოთხმოცი წლისთავს. ეს მთელი ჩვენი კულტურის ზეიმია, ეს საბჭოთა პოეზიის გამარჯვების დღესასწაულია და იმის დადასტურებაა, რომ გალაკტიონი კვლავ ჩვენთან არის, მისი ლექსი კვლავ შთააგონებს და მოუწოდებს ხალხს ახალი გამარჯვებებისაკენ.

## ახლო წარსულიდან

# მეგობრობის ერთ საღამოს

ჩემს ყოფილ ბინაზე (რუსთაველის პროსპექტი № 18) ხშირად იყრიდნენ თავს ქართველი მწერლები, მსახიობები, მხატვრები და მეცნიერები. მაგრამ ყველაზე ხშირი სტუმრები იყვნენ შალვა დადიანი, თედო სახოკია, სერგი დანელია და ილია ზურაბიშვილი. ესენი რომ შეიყრებოდნენ, არაფერი სჯობდა მათი საუბრისა და მოგონებების მოსმენას. ისინი ცოცხლად აღადგენდნენ მეხსიერებაში ბევრ საინტერესო პორტრეტსა და ეპიზოდს ლიტერატურული და თეატრალური ცხოვრებიდან. ზოგი რას იგონებდა, ზოგი რას. ისინი ხომ ბევრის მნახველი და მომსწრენი იყვნენ. მათ უნახავთ და უმეგობრებიათ ილიასთან, აკაკისთან, ვაჟასთან, ალექსანდრე ყაზბეგთან, ვანო მაჩაბელთან, ნიკო ნიკოლაძესთან, იაკობ გოგებაშვილთან, გიორგი წერეთელთან და სხვა გამოჩენილ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან. მე მათ საუბრებსა და საინტერესო მოგონებებს ყურს ვუგდებდი და შემდეგ ვიწერდი.

და აი, გალაკტიონ ტაბიძის საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით, მომაგონდა ერთი მეტად საინტერესო შეხვედრა 1938 წელს. ჩემთან შეიკრიბნენ შალვა დადიანი, გალაკტიონ ტაბიძე, ლადო გუდიაშვილი, შოთა ალსაბაძე და გიორგი შავგულიძე. ეს შეხვედრა ამ დღეებში წუნეთში მოვაგონე ლადო გუდიაშვილს და მაშინვე გაიხსენა ამ მეგობრული თავშეყრის ჩანახატი, რომელიც ოცდახუთმეტი წლის წინ შეასრულა და ჩემს არქივში ინახებოდა.

...იმ საღამოსაც ერთად ვიყავით შალვა დადიანი, გალაკტიონ ტაბიძე, ლადო გუდიაშვილი, გიორგი შავგულიძე, შოთა ალსაბაძე და ამ სტრიქონების ავტორი. ჩემმა სტუმრებმა ბევრი საინტერესო შეხვედრა გაიხსენეს ქართველ და უცხოელ საზოგადო მოღვაწეებთან. სიტყვა თეატრზე ჩამოვარდა. შალვამ მაღალი შეფასება მისცა ალექსანდრე სუმბათაშვილისა და სანდრო შანშიაშვილის პიესებს. ისინი წლების განმავლობაში ჰკვებავდნენ რუსთაველის თეატრსო, ამბობდა შალვა, არც მე ვიდექი შორს ქართული თეატრისაგან, მეც ვახერხებდი პიესებით ჩვენი თეატრების მომარაგებასო.

გიორგი შავგულიძემ შალვას მიმართა:

— ბატონო შალვა, „კაკალ გულში" გულში მოხვდა ყველა ბიუროკრატსა და ჩინოვნიკს. „გუშინდელნმა" ხომ ქართულ დრამატურგიაში მთელი ეპოქა შექმნა.

შოთა ალსაბაძემ „კაკალ გულში" ჩათვალა ეპოქალურ ნაწარმოებად. ჭეშმარიტ კომედიად.

გაცხოველდა საუბარი, კამათს გიორგი შავგულიძის სიმღერა და მისივე კომიკური სცენების გათამაშება მოჰყვა ქართულ პიესებიდან, — ეს ნამდვილი უდეკორაციო და უგრიმო წარმოდგენა იყო შინ გამართული, რომელსაც ყველა ჩემი მეზობელი აღფრთოვანებული უყურებდა ფართო შუშაბანდიდან.

— გალაკტიონ, — მიმართა შალვამ თავისებური დინჯი და ტკბილი ხმით,— შენ XX საუკუნის ქართულ ლიტერატურას ისეთი ღვაწლი დასდე, რომ ღირსეულად დაიმკვიდრე ადგილი ჩვენი დიდი კლასიკოსების რიგებში. სიყვარულით ვკითხულობ შენს ლექსებს, პოემებსა და ლირიკულ შედევრებს.

ლადო გუდიაშვილმა კი მოკრძალებით უთხრა პოეტს:

— დღემდე ვალში ვარ თქვენს წინაშე, ბევრი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის სურათი დამიხატავს, თქვენი კი არა. მაგრამ მალე ვალს მოვიხდი ერის წინაშე და დავხატავ თქვენს პორტრეტს.

გალაკტიონი ღიმილით ისმენდა მხატვრის ამ სიტყვებს.

— ჩემო ლადო, — მიმართა შალვამ, — ჩვენ ძველი მეგობრები ვართ, ჭირსა და ლხინში გამოვლილი. მართალია, მე თქვენზე ბევრად ხნიერი გახლავართ, მაგრამ დიდი შემოქმედება ყველა ასაკს ხიბლავს და იტაცებს. თქვენ გააცოცხლეთ ძველი თბილისი მრავალფეროვანი წარსულით. თქვენს ტილოებზე შესანიშნავად აისახა ჩვენი ეპოქის მიღწევები.

— მე ლირიკოსი პოეტი ვარ, ჩემო ლადო, — განსხვავებული თვალებით მიაჩერდა პოეტი მხატვარს, — ამიტომ მინდა ყველგან ლირიკას ვხედავდე, — ლირიკა წვისა და ლირიკა განცდის. თქვენ მხატვრობაში დიდი ლირიკოსი ხართ. საქართველოს მთელი ბუნება და მისი ხალხი თქვენი ფუნჯით ამღერებულა. თქვენ მზეს სინათლე მოჰპარეთ. აბა საიდანაა ამდენი მზე თქვენს ნახატებში!.. დიდება მზისა და ერის მხატვარს, ლადო გუდიაშვილს!



გალაკტიონი შემდეგ შალვას მიუბრუნდა, გაიხსენა შეხვედრები ქუთაისში, აკაკი წერეთელთან, ლადო მესხიშვილთან, ვასო აბაშიძესთან და სხვებთან, მოიგონა ამბოხიანი ქუთაისური შემოდგომა და სიტყვა ლექსით დაამთავრა.

პოეტი ლექსის თქმის დროს თრთოდა, ცახცახებდა, ხან კი თავს დაბლა ხრიდა.

სტუმრები გვიან დაიშალნენ. მესამე სართულიდან კი ხალხი გადმომდგარიყო და მომღიმარე და მხიარული თვალებით აცილებდა ქართული კულტურის დიდ მოღვაწეებს.

აი, სწორედ იმ დაუვიწყარი შეხვედრების ერთი ფურცელია საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვრის ლადო გუდიაშვილის ეს ჩანახატი, რომელსაც სიამოვნებით ვთავაზობთ „დროშის" მკითხველებს.

ალექსანდრე სიგუა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი შანიძე

# ალფა და ომეგა

„ალფა და ომეგა“ საკმაოდ გავრცელებული გამოთქმაა, რომელიც ამას ნიშნავს: „თავი და ბოლო“. იგი წარმოშობით ბერძნულია: **ალფა** ბერძნულ ანბანში პირველი ასოს სახელია, **ომეგა** კი — უკანასკნელისა. ომეგა დიდ **ო**-ს ნიშნავს (ბერძნულ ანბანში არის მცირე **ო**-ც, ომიკრონი). ფიგურალურად „ალფა და ომეგა“-ს მნიშვნელობაა: „ყველაფერი“, „თავი და თავი“, „უმთავრესი“. მაგალითი: „შესრულების შემოწმება და კონტროლი ჩვენი მუშაობის ალფა და ომეგაა“ (გაზეთიდან), რაც შეიძლება ასე ვთარგმნოთ: „შესრულების შემოწმება ჩვენი მუშაობის თავი და თავია“.

ეს გამოთქმა სხვა ენებშიც არის და, კერძოდ რუსულშიც, სადაც იგივე სიტყვები იხმარება: альфа и омега. გერმანულში კი სიტყვების ნაცვლად შეიძლება ასოებიც იყოს: das A und das O.

ახალი აღთქმის წიგნებიდან ყველაზე გვიან იოვანეს „გამოცხადების“ წიგნი ითარგმნა, რადგანაც ეს წიგნი ადრე კანონიკურ წიგნად არ ითვლებოდა. როცა კანონიკურად იცნეს, მაშინ ქართულადაც თარგმნეს. თარგმნა იგი ბერძნულიდან ეფთვიმე ათონელმა, რომელიც 1028 წ. გარდაიცვალა. ამ თარგმანში რამდენიმე ადგილი ასე იკითხება: „მე ვარ ანი და ჵ“ (გამოცხ. 1, 8); „ვიქმენ მე ანი და ჵ, დასაბამი და დასასრული“ (21, 6); „მე ვარ ანი და ჵ, პირველი და უკანაჲსკნელი, დასაბამი და დასასრული“ (22, 13). სამსავე დამოწმებულ ადგილას ბერძნული ტექსტის ზოგ გამოცემაში ასოებია მხოლოდ და არა მათი სახელები. მაგრამ ეფთვიმეს ხელთ ჰქონია ისეთი ტექსტი, სადაც პირველი ასოს სახელია მოცემული, მეორისა კი არა და ეს უთარგმნია მას. ამ ასოების მნიშვნელობა ორჯერ არის განმარტებული გამოცხადების ტექსტში. ქართული თარგმანის მიხედვით ეს არის: „პირველი და უკანაჲსკნელი“; „დასაბამი (ე. ი. დასაწყისი) და დასასრული“.

„გამოცხადების“ ეფთვიმესეულ თარგმანში პირველი ასოს სახელი ქართულია (**ანი**), უკანასკნელის სახელი კი არც ერთხელ არ არის მოყვანილი, მოყვანილია მხოლოდ თვით ასო (**ანი და ჵ**). რა ერქვა მას ძველად და როგორ გამოთქვამდა მის სახელს თვითონ ტექსტის მთარგმნელი ეფთვიმე? ალბათ, ამ უკანასკნელი ასოს სახელი ეფთვიმეს დროს იყო ოჰ. ეს სახელი ჩვენთვის ცნობილია ორი წყაროს მიხედვით:

ა) აპოკრიფულ „სიყრმე უფლისა“ მოთხრობაში იკითხება: „და იწყო იესუ სიტყუად წერილისა მის ყოვლისა ალფაჲთგან მიოჰამდე დიდითა გამოძიებითა. მერმე თქუა: რომელთა-ეგე ალფაჲ არა იციით, ბეტასა მას ვითარ-მე ასწავებთ? განი-მიმარტეთ პირველად ალფაჲ ესე, მაშინ-ღა მრწმენეს თქუენი, ბეტაჲსათჳსცა რასა-იგი იტყოდით.“[1] ამ ნაწყვეტში სამი ბერძნული ასოა დასახელებული: ალფა, ბეტა და ოჰ. ეს უკანასკნელი თანდებულიან ვითარებითშია დასმული, თანაც უძლვის **მი** წინდებული: მი-ოჰ-ა(დ)-მდე. ეს „მიოჰამდე“ ისეა ნაწარმოები, როგორც მი-საფუძვლად-მდე, მი-ცხრაჟამად-მდე. მაშასადამე, გამოდის, რომ პირველი ასოს სახელია **ალფა**, მეორისა — **ბეტა**, უკანასკნელისა კი — **ოჰ**. მაგრამ ბერძნულია მესამე ასოს სახელი, თუ ქართული? ამის გამო ამ 30-ოდე წლის წინათ ვწერდი: კონტექსტიდან ჩანს, რომ **ოჰ ალფა**-ს უპირისპირდება: ა ლ ფ ა ჲ თ გ ა ნ  მ ი ო ჰ ა მ დ ე. ამიტომ შეიძლება გვეფიქრა, რომ იგია ბერძნული ანბანის უკანასკნელი ასოს სახელი, ისე როგორც ალფა — მისი პირველი ასოს სახელიო. ასეთ გაგებას აძლიერებს ის გარემოება, რომ ძეგლში ბეტა-ც არის ნახსენები (ბერძნული ფორმით), მაგრამ უნდა მოვიგონოთ, რომ ქართული ანბანის უკანასკნელ ასოს ძველად ოჰ ერქმევია.

ბ) ერთს მე-15 საუკუნეში გადაწერილ ძველსომხურ სახელმძღვანელოში მოყვანილია სხვადასხვა ერის ანბანი: ბერძნული, ასურული (სირიული), ლათინური, ქართული, ალვანური (ჰერული), კოპტური და არაბული. ყველა ანბანში, იმათ შორის ქართულშიც, ასოებს მათ-მათი სახელი აქვს მიწერილი სომხური ასოებით. ქართული ანბანის პირველი და მეორე ასოს სახელებია: ან, ბან, სამი უკანასკნელისა კი — ჯან, ჰაჲ, ოჰ.[2] აქედან ცხადია, რომ ამ წყაროს მიხედვით ოჰ ქართული ანბანის უკანასკნელი ასოს სახელი იყო ძველად. მაგრამ ეს სახელი შეცვლილა შემდეგ და დაჰრქმევია ჰოე, რომელიც ასე იწერებოდა: ჵოე. გამოსარკვევია, თუ როდის მოხდა სახელის შეცვლა. უეჭველი კია, რომ მე-17 საუკუნეში უკვე ჵოე ყოფილა, რაც ჩანს რომში 1629 წ. გამოცემული ქართულ-იტალიური ლექსიკონიდან და აგრეთვე მაჯჯოს გრამატიკიდანაც (მეორე გამოც. 1670 წ.).

სულხან-საბა ორბელიანის ანბანში უკანასკნელ ასოს ჰქვია ჵი და ჵე, რაც ასე უნდა წავიკითხოთ: ჰოი, ჰოე. გაიოზის გრამატიკაში მისი სახელია ჵოე (ე. ი. ჰოე). თ. ჟორდანიას გრამატიკის მიხედვით ჵ არის ჰოი (ან ჰოჲ).

რომ დავუბრუნდეთ ეფთვიმეს თარგმანს, მის დროს „ანი და ჵ“, ალბათ, „ანი და ოჰი“ იყო, რომელიც შემდეგ „ანი და ჰოე“ გახდა.

თუ დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ბერძნული სახელების ნაცვლად ქართულს ვამჯობინებთ, გვექნება „ანი და ოჰი“, რაც ძველის-ძველი ტრადიციის აღდგენა იქნება, მაგრამ მე მგონია, უკანასკნელი ასოს სახელად აჯობებს „ჰოე“, რომელიც ბოლო ხანებამდე იხმარებოდა. ამიტომ ამ წერილის თავში მოყვანილი მაგალითი ასეც შეიძლება ითქვას: „შესრულების შემოწმება და კონტროლი ჩვენი მუშაობის ანი და ჰოეა“.

---

[1] კ. კეკელიძე. კიმენი I, 117; ა. შანიძე. თომას სახარების ქართული ვერსიის ნაწყვეტი და მისი გაუგებარი ადგილები (თბილისის უნივერსიტეტის შრომები. 18, 1941, 38-39).

[2] აქ დამოწმებულია ქართული ანბანი მე-15 საუკუნეში გადაწერილი სომხური სახელმძღვანელოდან. ანბანთა კრებული, რომელიც შიგ არის მოთავსებული, ძველია არა უგვიანეს X საუკუნისა, იხ. А. Шанидзе, Новооткрытый алфавит кавказских албанцев и его значение для науки.

# კვლავ ჩარლი ჩაპლინი...

**„მე პოლიტიკური მოღვაწე არა ვარ. უპირველეს ყოვლისა, ინდივიდუალისტი გახლავართ. მწამს თავისუფლება. აი, მთელი ჩემი პოლიტიკა. მიყვარს ადამიანები, ასეთია ჩემი ბუნება. ამიტომ საჭირო არ არის რალაც ზეპატრიოტად ჩამთვალონ. შოვინიზმს ჰიტლერიზმისაკენ მივყავართ“. — აი, ეს ფრაზები ეკუთვნის ჩარლ სპენსერ ჩაპლინს, რომელიც წარმოთქვა მან 1952 წლის 22 სექტემბერს შერბურგში ჩასვლისას.**

**ჩარლი ყოველთვის თავისუფლებისა და მშვიდობის მიმდევარი იყო. მისი ფილმები ილაშქრებდნენ ანტიჰუმანიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინაალმდეგ. იგი ნამდვილად დიდი ხელოვანისთვის დამახასიათებელი პათოსით მოგვითხრობდა უილბლო, ღარიბსა და პატიოსან ადამიანებზე. ჩარლი არა მარტო თავისი ფილმებით, არამედ უამრავ ზეპირ გამოსვლებში, მაყურებლებთან შეხვედრებში, პრესაში, — ყურადღებას იპყრობდა როგორც პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი, როგორც ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის მქადაგებელი. აკი ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ 1954 წელს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით ჩარლი ჩაპლინს მშვიდობის საერთაშორისო პრემია მიენიჭა.**

**ახლა ჩარლი ჩაპლინი 84 წლისაა. აპრილის თვეში მან ეს თარიღი ახლობელთა შორის საფრანგეთის ლაუვარდოვან ნაპირზე იზეიმა. იგი შესანიშნავად გრძნობს თავს. დღესაც დიდი სურვილი აქვს იმოგზაუროს სხვადასხვა ქვეყნებში. შემოქმედებითი გეგმებიც მოუზღვავდა. სულ მალე იგი გაემგზავრება ინგლისის დედაქალაქ ლონდონში, სადაც განზრახული აქვს ზოგიერთი საკუთარი მუსიკალური ნაწარმოების ჩაწერა.**

**ჩარლის მაინცადამაინც არ უყვარს სხვისი ფილმების ცქერა. ათასში ერთხელ დაატრიალებს საკუთარ ძველ კინოფირებს და გულუბრყვილო ბავშვივით იცინის.**

**ჭეშმარიტ ხელოვანს დიდხანს უქმად ყოფნა არ შეუძლია. ასე მოხდა ამჯერადაც. გარკვეული სიჩუმის შემდეგ ჩარლი ჩაპლინი კვლავ ბრუნდება კინოში. მან ეს-ესაა დაამთავრა მუშაობა ორ კინოსცენარზე, რომელთათვისაც მუსიკალური პარტიტურაც მზადა აქვს. ორივე სცენარში მთავარ როლებზე საკუთარი შვილები (ჟოზეფინა და სიდნეი) ჰყავს გათვალისწინებული. პირველი კინოსცენარის შინაარსი ასეთია: ერთხელ გეოლოგის ქოხის შემოსასვლელთან უცნაური არსება — ფრთიანი ქალი ჩამოვარდა და დაცემისას ფრთა მოიტეხა. გეოლოგმა ქალი-ფრინველი ქოხში შეიყვანა და დიდი მოვლა-პატრონობის შემდეგ ფეხზე წამოაყენა. მალე მათ ერთმანეთი შეუყვარდათ. ცოტა ხანში ამ უცნაური არსების შესახებ მთელ იმ მხარეს მოედო ამბავი და ალაპარაკდა პრესა, რადიო, ტელევიზია. ბიზნესმენებმა ზღაპრული ქალის მოტაცება და მისი საჯაროდ ჩვენება მოიწადინეს. საბოლოოდ უმწეო ქალი-ფრინველი იძულებულია დედამიწა დატოვოს და კვლავ ცაში გაუჩინარდეს. რამდენიმე დღის შემდეგ ოკეანის ტალღები ამოატივტივებს მის გვამს.**

**ჩარლი ჩაპლინი თავისებურ გადაწყვეტას პოულობს მითოლოგიური გმირის იკაროსის მსგავსი არსებისათვის. ამ კინოსცენარით ჩარლი ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ უსამართლობის ატმოსფეროში სიცოცხლე არ უწერია პატიოსნებასა და ბედნიერებას.**

**მეორე კინოსცენარში ნაჩვენებია ამერიკის ცნობილი ციხის „სინგსინგის“ პატიმრის სათავგადასავლო ამბავი. მრავალი ფათერაკის შემდეგ პატიმარი ახერხებს ამ ციხიდან თავის დაღწევას და სამშვიდობოს გასვლას. აი, სწორედ ამ პატიმრის როლს განასახიერებს ჩაპლინის კფროსი ვაჟი — სიდნეი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



გათენდა! შეერთდით, შეერთდით, შეერთდით!
დროშები, დროშები... დროშები ჩქარა!

(გალაკტიონი „დროშები ჩქარა“).

მხატვარი ნიკოლოზ იგნატოვი



1



4



2



5



3



6



7

1 ოლღა ოკუჯავა და გალაკტიონი ქუთაისში 1918 წელს.

2 გალაკტიონი და გიორგი ლეონიძე 1955 წ. არაგვის პირზე, ვაჟას გარდაცვალების 40 წლისთავზე, ვაჟას წყაროსთან.

3 გალაკტიონი მესხეთ-ჯავახეთში მოგზაურობის დროს, სოფ. ხანდოში, კალოზე, 1955 წ. ივლისში.

4 გალაკტიონი და ვაჟა ფშაველას მეუღლე თამარი ჩარგალში 1955 წ. 18 აგვისტოს.

5 გალაკტიონი იალაღებზე მეცხვარეებთან 1955 წლის ივლისში.

6 გალაკტიონი ქუთაისის ბაღში 1925 წელს.

7 გალაკტიონი და ტიციან ტაბიძე 1922 წელს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გალაკტიონი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვით ცეცხლის ხეტიალი. როგორც ბედის ტრიალი.
ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები.,

(გალაკტიონი „ლურჯა ცხენები").



სსრ კავშირის სახალხო მხატვარი ლადო გუდიაშვილი.

შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს. მერი!
მერი, იმ ღამეს მაგ თვალთა კვდომა,
სანდომიან ცის ელვა და ფერი
მწუხარე იყო, ვით შემოდგომა!·

(გალაკტიონი „მერი").

## აკადემიის პრეზიდიუმში

აკადემიის სასხდომო აუდიტორია თანდათან ივსება მხცოვანი აკადემიკოსებით, აკადემიის წევრ-კორესპონდენტებით. პირველი მაისისადმი მიძღვნილი სალამო საცაა უნდა დაიწყოს. სალამოს დიდძალი ხალხი ესწრება. პრეზიდიუმის მაგიდა ჯერ კიდევ ცარიელია, ჩემთან მოდის აკად. ა. შანიძე.

— მობრძანდით პრეზიდიუმში! — მეუბნება.

— არა, არ შემიძლია რაღაც, — ვეუბნები.

არ მომეშვა, აკაკის აკადემიის პარტბიუროს ხელმძღვანელი მიეშველა.

— მობრძანდით, მობრძანდით.

არ მინდოდა, მაგრამ რაკი არ მომეშვნენ, უარი ველარა ვთქვი.

დავიკავე ადგილი პრეზიდიუმში. იქ იყვნენ მიხეილ წინამძღვრიშვილი, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი. პირველად ძალიან უხერხულად ვიგრძენი თავი, ასეთი აუდიტორია, მე კიდევ გადაჩვეული თვალსაჩინო ადგილზე ყოფნას. თან ეს წევრები, რომელიც საგრძნობლად მომეზარდა, თან მერიდება.

მე შეშინებით უთხარი:

— რას ამბობთ, არასგზით არ შემიძლია. დიდი ხანია, საზოგადოების წინ არაფერი წამიკითხავს. თავს კარგად ვერა ვგრძნობ. არ შემიძლია.

— მაშ კარგი. მე წავიკითხავ... ნებას მაძლევთ?

მე ამაზედაც დავფიქრდი... გავიფიქრე ეს აკადემიაა... სხვა აუდიტორია. მაგრამ ბოლოს დავთანხმდი. გადაწყდა ასე, — ვიცე-პრეზიდენტი აკადემიის წაიკითხავს ჩემს ლექსს.

მომხსენებელი თავის მოხსენებას აკეთებდა. აუდიტორია უსმენდა, ვიცე-პრეზიდენტი ემზადება ჩემი ლექსის წასაკითხავად.

## საქმიანი შენიშვნები

აკადემიის ისტორიას არ ახსოვს, რომ იქ ვისმეს ლექსი წაეკითხოს. ამიტომაცაა რომ აკაკი გულდასმით სწავლობს ლექსს, რამდენჯერმე კითხულობს თავისთვის. ასწორებს კიდეც. მაგრამ კარგად ასწორებს, მე ეს გარემოება ძალიან მახარებს.

— სიმღერა პირველი მაისისა... არა სჯობია, რომ იყოს „სიმღერა 1 მაისს“?

# [illegible] ჩანაწერებიდან

საქმე ისაა, რომ აკადემიაში პირველად ვარ საპრეზიდიუმო მაგიდასთან. არა ვარ მიჩვეული. მგონია, რომ ყველა მე მომჩერებია.

თუ არ ვცდები, პირველად არიან აკადემიის სალამოს პრეზიდიუმში მ. წინამძღვრიშვილი და კ. კეკელიძე.

ეს რაღაც ერთგვარი სიახლეა!

## „ექსპრომტი“

ძალიან, ძალიან უხერხულად ვგრძნობდი თავს, რომ როგორმე დავმშვიდებულიყავი, უბიდან ქაღალდები ამოვიღე, წინ დავიწყე და ერთი მათგანი, „სიმღერა 1 მაისის“ რამდენჯერმე გადავიკითხე. გვერდით რომ აკაკი შანიძე მიჯდა, ჩუმად შემეკითხა:

— რა არის ეს?

— „ექსპრომტია“. აი „კომუნისტში“ ვიყავ, იქ დავწერე, მგონი, დაიბეჭდოს კიდეც.

— შეიძლება წავიკითხო?

— ინებეთ.

კითხულობდა ძალიან გულდასმით. მომხსენებელი თავის მოხსენებას აკეთებდა. აუდიტორია უსმენდა. აკაკი ჩუმად ჩემს ლექსს კითხულობდა. ძალიან გულდასმით. ხელში ფანქრით, შემდეგ მე მომიბრუნდა.

— წაიკითხეთ ეს „ექსპრომტი“ აქ, ამ აუდიტორიაში.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, სჯობია. ეს „ექსპრომტია“ და...

— შემდეგ „მაისი დამფარველი ფრთით ეფერება“ თქვენ გაქვთ „ეფერება“. არ აჯობებს რომ იყოს „ეფარება“? „ჩვენი მაისი დამფარველი ფრთით ეფარება“. რას იტყვით?

— ოო, როგორ არ აჯობებს! „დამფარველი ფრთით ეფარება“. ეს მშვენიერი სახეა, უკეთესი.

და კიდევ რამდენიმე ასეთი შენიშვნა, მეტად ძვირფასი, მაგალითად:

— თქვენა გაქვთ ასე: „მრავალთა ჯინზე“ — განა არ აჯობებს „მრავალთა ჯიბრზე“. ჯინი — პროვინციალიზმია.

— სჯობია „ჯიბრზე“, — დავეთანხმე მე.

აკადემიის ისტორიას არ ახსოვს რომ მისი ტრიბუნიდან ვისმეს ლექსი წაეკითხოს. ამიტომ ემზადება აკაკი. ეს გამოსვლა პირველი იქნება.

მომხსენებელმა დაამთავრა თავისი მოხსენება. მე აღელვებული ვარ. რაღაც უნდა მოხდეს!

## „წაიკითხოს თვითონ“

და აი,

მომხსენებელმა დაასრულა თავისი მოხსენება. აუდიტორიამ მოისმინა. ეხლა — კი...

წამოდგა ვიცე-პრეზიდენტი. თვალი მოავლო

(გაგრძელება მე-12 გვერდზე).


ეროვნული ბიბლიოთეკა

გალაკტიონი. მოქანდაკე ბ. ავალიშვილი

# ავტობიოგრაფია

დავიბადე 1892 წელს, სახალხო მასწავლებლის ოჯახში, ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვედი 1908 წელს. ლექსების პირველი წიგნი გამოვიდა 1914 წელს.

ახალგაზრდობისას მონაწილეობას ვიღებდი რევოლუციურ მოძრაობაში. ვეწეოდი არალეგალურ მუშაობას სხვადასხვა წრეებში, ვცემდით არალეგალურ ჟურნალებს თბილისის სემინარიაში.

1917 წელს, რევოლუციის პირველსავე დღეს, დაიბეჭდა ჩემი ლექსები — „დროშები ჩქარა“, „ტახტი დაეცა“. მივემგზავრები მწერალთა დავალებით მოსკოვსა და ლენინგრადში, სმოლნში ვხვდები ლენინსა და სტალინს.

1918 წელს ვბრუნდები საქართველოში. 1921 წელს ვრედაქტორობ საქართველოს მწერალთა კავშირის პირველ ჟურნალს „ლომისს“.

1923 წელს სხვა მწერლებთან ერთად დავაარსე ჟურნალი „მნათობი“.

1928 წელს კომინტერნის მეექვსე კონგრესის დელეგაციასთან ერთად ვიმოგზაურე საბჭოთა კავშირის საწარმოო რაიონებში.

1933 წელს გადახდილ იქნა ჩემი ლიტერატურული მოღვაწეობის 25 წლისთავის აღსანიშნავი იუბილე. მომენიჭა „სახალხო პოეტის“ სახელწოდება.

1935 წელს მონაწილეობას ვიღებდი მწერალთა ანტიფაშისტურ კონგრესში, პარიზში.

სამამულო ომის პერიოდში გამოვიდა ჩემი ლექსების წიგნი.

გამოიცა სახელმწიფო გამომცემლობის მიერ VII ტომი ჩემი ნაწერებისა. წელს გამოდის VIII ტომი.

1944 წელს ერთხმად ამირჩიეს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

**გალაკტიონ ტაბიძე**

1957 წელი, 15 აპრილი.

# გალაკტიონის უცნობი ავტობიოგრაფია

დიდი ოქტომბრის რევოლუციის ორმოცი წლისთავის გამო, — 1957 წლისათვის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმს განზრახული ჰქონდა შეედგინა და გამოეცა საიუბილეო კრებული „ქართველი საბჭოთა მწერლები“.

მე დამევალა შემედგინა თითოეულ საბჭოთა მწერალზე სათანადო ანკეტური მონაცემები.

რა თქმა უნდა, პირველ რიგში ვინახულე ჩვენი სასიქადულო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე, თავის ბინაზე (მარჯანიშვილის ქ. № 4). ეს იყო 1957 წლის აპრილში.

როდესაც პოეტს გავაცანი ჩვენი ჩანაფიქრი, მას დიდად ეამა ეს კეთილშობილური განზრახვა და შემავსებინა ანკეტური ჩანაწერები. მაშინ მე ვთხოვე, — ხვალვე მოვიტან რვეულს და პირველმა თქვენ ჩამიწერეთ ავტობიოგრაფია.

თორმეტ აპრილს კვლავ ვეწვიე გალაკტიონს. იმ დღეს პოეტი დაკავებული აღმოჩნდა და მომიბოდიშა — მთხოვა დამეტოვებინა რვეული ავტობიოგრაფიის ჩასაწერად... სამი დღის შემდეგ დამიბარა.

მესამე დღეს რომ მივედი, გალაქტიონმა თავაზიანად მიმიღო და გადმომცა რვეული ავტობიოგრაფიით. გთავაზობთ პოეტის ავტობიოგრაფიას, რომელიც ქვეყნდება პირველად.

**დავით შულღიაშვილი**



გალაქტიონის ლექსი „კაკინა წვიმაში“ პირველად ქვეყნდება, იგი გალაქტიონის მიერ რვეულის ფურცელზეა დაწერილი. პოეტმა ეს ლექსი პატარა მარინეს დაბადების დღეზე მიუძღვნა.

ბავშვი, რომელსაც თქვენ ხედავთ სურათზე გალაქტიონთან ერთად — მარინეა. პოეტმა ეს ფოტო სამახსოვროდ გადაიღო „კაკინასთან“.

დღეს, ის პატარა, მარინე ჩხეიძე თვითონ არის დედა. აგერ, რამდენი წელია საგულდაგულოდ ინახავს დიდი პოეტის ძვირფას სამახსოვროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კაკინა წვიმაში

— ნეტა რაა, ცით მიწამდის რომ ჰკიდია?
— ეს წვიმაა, ცით მიწამდის რომ ჰკიდია!
— ის ვინაა, წვიმაშიც რომ არ სველდება?
— კაკინაა, წვიმაშიც რომ არ სველდება.
— იგი რაა, ტალახშიც რომ არ ისვრება?
— ეს „ბლუსტია“, ტალახშიც რომ არ ისვრება.
— იგი რაა, ხელით ხელში რომ გადადის?
— ეს „ფულოა“, ჯიბით ჯიბეს რომ გადადის!
— ის ვინაა, რომ დარბის და სწრაფლ ბრუნდება?
— კაკინაა! წვიმის მერე შინ ბრუნდება!
— რა ჩიტია რომ არ სწყდება თავის ბუდეს?
— ეს გულია, არ შორდება თავის ბუდეს!
— პირს, გულს, ენას ზედ რომ აკრავს იგი რაა?
— ეს, კაკინა, კაცთა შორის მშვიდობაა!

აუდიტორიას. სიწყნარე ჩამოვარდა (სიწყნარე ქარიშხლის წინ).

— ნება მომეცით, — ამბობს ვიცე-პრეზიდენტი, — წაგიკითხოთ ლექსი, აკადემიკოსმა გალაქტიონ ტაბიძემ დაგვიწერა „ექსპრომტი“ და ის უნდა წაგიკითხოთ...

თან აუდიტორიას ორაზროვნად გადახედა...

დარბაზს გამოცოცხლება დაეტყო და მას სურს აქტიურად ჩაებას ამ „საქმეში“... როგორ? ახალი ლექსი! გალაქტიონის! აკადემიკოსები, აკადემიის წევრ-კორესპონდენტები, ინსტიტუტების დირექტორები, ქალები და კაცები ყველა ძალიან დაინტერესებულია. გამოცოცხლდა დარბაზი. ყოველი კუთხიდან შეძახილები ისმის.

ვიცე-პრეზიდენტმა მე გადმომხედა, შემდეგ აუდიტორიას, შემდეგ კიდევ — მე, მერე აუდიტორიას.

— წაიკითხოს თვითონ! — გაისმა ხმა დარბაზში. შემდეგ ყველა ერთხმად იძახდა.

— წაიკითხოს თვითონ! თვითონ წაგვიკითხოს.

ვიცე-პრეზიდენტი ჩუმად მეკითხება:

— „წაიკითხავთ“?

— არასგზით! არ შემიძლია! — ვეუბნები მე.

დარბაზი უფრო და უფრო ღელავს, ხმაურობს.

— გთხოვთ, გთხოვთ! — გაისმის დარბაზის ყოველი კუთხიდან უკვე ხმამაღალი და დაჟინებული მოთხოვნა.

ვიცე-პრეზიდენტი იღიმება და ჩემსკენ იხრება, „მეტი გზა არ არისო“ თითქოს ამბობს იგი. აუდიტორია დაჟინებით მოითხოვს.

მართლაც მეტი რაღა გზა იყო. წამოვდექი და გავემართე ტრიბუნისაკენ. ეს იყო პირველი — ნაბიჯები აკადემიის ტრიბუნისაკენ.

დარბაზში უცებ გასაოცარი სიჩუმე ჩამოვარდა. სიჩუმე ქარიშხლის შემდეგ.

## აკადემიის ტრიბუნიდან

დავიწყე ლექსის კითხვა. დაჯერებით. დინჯად. ხმა მემორჩილებოდა. არა ვღელავდი, განა! რეკავდა ჩემი ხმა.

ვგრძნობდი, რომ კითხვა სწორედ ჩემებური გამოდიოდა. ვგრძნობდი აუდიტორიის განსაცვიფრებელ სიჩუმეს, რომელიც უსაზღვრო სიმპატიით იყო გამსჭვალული.

ვგრძნობდი, რომ ეს იყო აკადემიის აუდიტორია. უმაღლესზე უმაღლესი აუდიტორია, რომელმაც იცის სხვისა და თავისი თავის ფასიც.

არასდროს ასე კარგად მე ლექსი არ წამიკითხავს.

რომ დავამთავრე, ერთსულოვანმა უანგარო სიყვარულის ტაშის ცემამ იგრიალა. ოვაციები გამიმართეს.

მოვიდნენ აკადემიკოსები, ხელს მართმევდნენ.

გიორგი ახვლედიანი ამბობდა:

— ამიერიდან ყოველ პირველ მაისს აქ ლექსით უნდა გამოხვიდეთ. ყოველ პირველ მაისს.

ნიშნად შეთანხმებისა ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით!

— რა ღრმა აზროვანი ლექსი იყო... — ამბობდა მეორე.

აკადემიის ტრიბუნიდან პირველად გაისმა პოეტის ხმა. მე გავიმარჯვე.

მეორე დღეს იგივე ლექსი გადასცეს რადიოთი, დაიბეჭდა გაზეთებში. წავიკითხე აგრეთვე მწერალთა კავშირის საპირველმაისო საზეიმო სხდომაზე, დაიბეჭდა სომხურ გაზეთში.

ერთის სიტყვით, ჩემი საპირველმაისო გამოსვლები ტრიუმფივით ჩატარდა. იცის ბიჭმა!

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი ამთავრებს გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა სრულ გამოცემას. როგორც ცნობილია, მკითხველმა მიიღო პოეტის ათი ტომი. გამოსაცემად მზადდება მეთერთმეტე და მეთორმეტე ტომები, რომლებშიც შეტანილია პოეტის წერილები და ჩანაწერები ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე, სიტყვები და გამოსვლები, პირადი წერილები, დღიურები, რომლებიც მკითხველისათვის აქამდე უცნობი იყო. ზემოთ გამოქვეყნებული დღიური იბეჭდება პოეტის თხზულებათა XII ტომში.

მასალა რედაქციას მოაწოდა ტექსტოლოგიის განყოფილების უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა **ლეილა სანაძემ.**

## [illegible] ჩანაწერებიდან

სერგო კლდიაშვილი

# ორი პატარა მოთხრობა

მხატვარი ჯემალ ლოლუა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## სკვერში

დანისლული დღეა. პენსიონერები თომა და აპოლონი სკვერში სხედან, მერხზე. თომას ხელში ატამი უჭირავს და დროდადრო ყნოსავს. აპოლონი, როგორც ჩვევია, ამრეზილ გუნებაზეა, კუშტად იყურება, თამბაქოს აბოლებს და ბუზღუნებს:

— ახლა შენ იტყვი, სულ ღრინავსო... აბა, რა მაქვს სამღერალი? დაბადების წუთშივე დამწყევლა ბედმა... არ დაფიქრებულან და მაშინვე დაეთანხმენ გამოტვინებულ დედაკაცს, ჩემ ნათლიას... აპოლონი დამარქვეს, ქვეყნის დასაცინი გამხადეს. სადაური აპოლონი მე ვარ?! ერთი ჯუჯა, თვალებგადმოკარკლული, უცხვირპირო კაცი!

თომა, როგორც ჩვევია, ალერსიანად შესცქერის და მის დამშვიდებას ცდილობს.

— სახელს რა მნიშვნელობა აქვს, ჩემო აპოლონ. ამისათვის ბედს ნუ დაემდურები. ცხოვრება მაინც ტკბილია, მაინც ბედნიერებაა.

— ტფუ! — სახეს მანჭავს აპოლონი. — სისაძაგლეა და არაფერი!

— იტყვი რაღაც საოცარს! — ცდილობს თომა ნამუსზე შეაყენოს მეგობარი.

— მაშ რა არის? — აპოლონი ცდილობს რაიმე მაგალითით დაამტკიცოს თავისი აზრის სიმართლე, მაგრამ ვერაფერი მოუგონებია და, ბოლოს, გაბრაზებული ამბობს: — ჰა, შეხედე, რა ამინდია! არც მზიანია და არც ღრუბლიანი, ჩამოგვტირის ზეცა!

— ეგ არაფერია, — ისევ დატკბილულად ლაპარაკობს თომა, — დღეს თუ არა, ხვალ გამოვა მზე და გაანათებს ქვეყნიერებას.

— გამოანათებს და ისე დაცხება, სულს ვერ მოითქვამ!

— შენ ვერაფრით გასიამოვნებს კაცი! — იღიმება თომა. — არც ნისლი გინდა, არც მზე...

— ყველაფერი სისაძაგლეა! — თავისას არ იშლის აპოლონი.

რამდენიმე წუთს დუმან. თომა ატამს ყნოსავს, ოცნებას ეძლევა და თავის ფიქრს უზიარებს ამხანაგს:

— რაც გინდა თქვი და, მაინც იმ აზრის ვარ, სიცოცხლეზე ტკბილი არაფერია... ასი წლის შემდეგ კი უფრო უკეთესი გახდება. აი, ჩვენ რომ მაშინ დავბადებულიყავით...

— ასი წლის შემდეგ კაცობრიობის კვალიც აღარ იქნება! — კატეგორიულად აცხადებს აპოლონი.

— ვითომ რატომაო?! — გაოცებულია თომა.

— იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ აღარაფერი არ იქნება... მტვერი და ნაცარი... დიახ! — დაბეჯითებით ამბობს აპოლონი.

— მე კი დარწმუნებული ვარ, ნამდვილი სამოთხე დამკვიდრდება... — ფრთხილად ეკამათება თომა.

აპოლონი ვერ იტანს, როცა ვინმე საწინააღმდეგოს ეტყვის და უფრო ხელდება:

— ვინ მოგახსენა? რომელ კარაბადინში ამოიკითხე? უთვალავი საუკუნეა ქვეყნიერება არსებობს, აქამდე სახეირო პირი არ გამოუჩენია და ახლა, თომას გული არ დაწყდესო, სასიკეთო გახდება?! ფანტაზიორი ხარ, მეტი არაფერი, სისულელეებით გაქვს თავი გამოტენილი. სამოთხე! როგორ არა, მოგართმევენ!

— მეცნიერება, აპოლონ ძვირფასო, მეცნიერება! — უკან არ იხევს თომა, — მეცნიერება იძლევა ამ იმედს. ყველაფერი იქით მიიმართება, რომ ცხოვრება სასიხარულო გახდეს. ადამიანის გონება და ნიჭი ბევრ რაიმეს მიაღწევს. აი, ავიღოთ, მაგალითად, ატომური ენერგია, რომელიც...

— თქვა რუქამ არაკი! — სიტყვას აწყვეტინებს და ხითხითებს აპოლონი. — ტუტუცი ხარ და რა გელაპარაკო!

— როგორ თუ ტუტუცი?! — ცოტა არ იყოს, ნაწყენია თომა.

— აბა რა! ისიც არ გცოდნია, რომ სწორედ ეგ შენი ატომის ენერგია მოუღებს ბოლოს ჩვენს პლანეტას... დაგიმშვენდა ცხვირი, კარგი საბუთი ეგ იყოს!

თომას თავმოყვარეობა შებღალულია, მაგრამ მეგობრის ხასიათი რომ იცის, ამჯობინებს, ფრთხილად შეუბრუნოს სიტყვა:

— ამეტებ, ჩემო კეთილო, ძალიან ამეტებ... ალბათ, დღეს ჩვეულებრივზე უფრო გაწუხებს ძველი იშიასი... ჰოდა, მაინც გეტყვი, არც აგრეა საქმე, შენ რომ ამბობ... მე ისევ იმ აზრის ვარ, რომ დედამიწაზე მარად იხარებს სიცოცხლე.

აპოლონი გრძნობს, რომ მეგობარი ცოტა განაწყენებულია, თვალს შეავლებს ატამს, რომელსაც ის ყნოსავს და მერე მისთვის უჩვეულო სიმშვიდით მიმართავს:

— იცი, რა შემთხვევაში იხარებს დედამიწაზე სიცოცხლე? იცი შენ, რა არის მარადი? აი ეგ ატამი, ბუნების ეგ ნაყოფი და ახლად გამომცხვარი პურის სურნელი! სხვა ყველაფერი წარმავალია... დიახ... მოეშვი, ძირს ნუ უთხრი ბუნებას და ამის შემდეგ მელაპარაკე მარადისობაზე!

თომა შედავებას აპირებს, მაგრამ ამ დროს წვიმა იწყება, აპოლონი დგება და მისი გამწყრალი ხმა ისმის:

— ჰმ... შენს ნებაზე სკვერშიც ვერ დამჯდარხარ კაცი... შევარცხვინე ეგ შენი ნისლი და ეგ შენი ხვალინდელი მეცნიერება!

პიჯაკის ყველა ღილი საჩქაროდ შეიკრა, ჭილოფის ქუდი ჩამოიფხატა და თავის სახლისკენ წაძუნძულდა.

რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და მზემაც გამოიხედა. აპოლონმა გაბრაზებულად ახედა ცას, დაბრუნება დააპირა, მაგრამ გაღიმებული თომა დაინახა, მაშინვე იბრუნა პირი და სახლისკენ გასწია.



## დიდი ჰუმანისტი

სადილად პარმენი ყოველთვის იმდენს ჭამდა, ისე სასტიკად ძღებოდა, რომ სულის ამოთქმა უჭირდა.

ამის შემდეგ კი ატირება იცოდა. არა, ცრემლები არ ჩამოსდიოდა. მხოლოდ სად თვალში ერთი პატარა წვეთი ჩამოჟონავდა, მეტი არაფერი. ესეც იმიტომ, რომ დიდხანს ისრესდა თვალს.

— რა ღმერთი გიწყრება, ადამიანო? ეგ რა საოცარი ჩვეულება გაქვს?! — საყვედურობდა გაოცებული მეუღლე.

— ოჰ, დაფინე, გული მტკივა! — კვნესოდა პარმენი, — რომ იცოდე, როგორ მტკივა! სხვასავით გულქვა კი არა ვარ!.. რამდენი გაჭირვებული კაცი ცხოვრობს ქვეყანაზე, რამდენი მშიერი ადამიანი! ამას რომ წარმოვიდგენ, სიცოცხლე აღარ მინდა!



ასე ვუწოდეთ ჩვენს ახალ განყოფილებას. ჟურნალის ამ ნომრიდან ვიწყებთ ხალხური ზეპირსიტყვიერების საუკეთესო, ახალი ჩანაწერების გამოქვეყნებას.

ქვემოთ წარმოდგენილი მასალები მოგვაწოდა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა **ნოდარ შამანაძემ.**



## ოფლის ძალა

იყო ორი ძმა, ერთს შრომა უყვარდა, სულ მუდამ ფეხზე ტრიალებდა მუხლჩაუხრელად, მეორეს კი ხელის განძრევა ესიკვდილებოდა. ერთხელ გამრჯე ძმა ქვევრს რეცხავდა. ზარმაცმა აგდებით უთხრა:

— ტყუილა ირჯები, ეგ ქვევრი ღვინისთვის აღარ ივარგებს.

— რატომ? — გაიკვირვა გამრჯემ.

— სახეზე ოფლი ჩამოგდის და ქვევრში იწვეთება.

— სადაც ოფლი არ ჩაიწვეთება, იქ საქმეც არ გაკეთდება, — მოუჭრა ძმამ.

**მთქმელი ნ. მსუქნიშვილი**
**თელავი, სოფ. წინანდალი.**



## ეშმაკი გოგონა

ერთ გოგოს ბიჭი აედევნა და მოსვენებას არ აძლევდა.

— მომეშვი! — სთხოვა გოგომ.

— ვერ მოგეშვები! — უპასუხა ბიჭმა.

— შენ ჩემთან მაინც ვერას გახდები, შემიძლია წყაროზე ჩაგიყვანო და წყალი არ დაგალევინო, — უთხრა გოგომ.

დანაძლევდნენ. წავიდნენ წყაროსკენ. როგორც კი წყაროსთან მივიდნენ, გოგომ თავში ხელი შემოიკრა:

— მოწმის წამოყვანა რომ დაგვავიწყდა?! წავიდეთ, მოვიყვანოთ.

ბიჭი ისე იყო დაბნეული, გოგოს ოინს ვერ მიხვდა. დაბრუნდნენ უკან. დარჩა ბიჭი წყალდაულეველი.

**მთქმელი ნ. მსუქნიშვილი**
**თელავი, სოფ. წინანდალი.**



## თაგვი და კატა

თაგვი ღვინიან ჭურში ჩავარდა. ბევრი იწვალა, მაგრამ ვერ იქნა და ველარ ამოვიდა. ამ დროს ჭურთან კატამ გაიარა.

— ხომ ხედავ, ვიხრჩობი. ჰქენ სიკეთე, ამომიყვანე და შემჭამე. — სთხოვა კატას.

ფისუნიამ ჭურში კუდი ჩაუშვა, თაგვი ამოჰყვა და სოროში შევარდა.

— პირი რად მიტეხე? — უსაყვედურა კატამ.

— მთვრალი კაცის სიტყვა რა დასაჯერებელია! — უპასუხა თაგვმა.

**მთქმელი ნ. მსუქნიშვილი**
**თელავი, სოფ. წინანდალი.**



## ორი მენავე

ორი კაცი ტბაზე ნავით გადადიოდა. ერთმა სიმღერა წამოიწყო. მეორეს უთხრა:

— შენც იმღერე, რატომ გაჩუმებულხარ?

— სიმღერა არ ვიცი, — უპასუხა.

— სიმღერა თუ არ იცი, ნახევარი ცხოვრება დაგიკარგავს, — გაიღიმა პირველმა და სიმღერა განაგრძო.

მალე ამინდი აირია, ჯერ ქარი ამოვარდა, მერე გრიგალი. ტბა აზვირთდა, ნავი ნაფოტივით აათამაშა და გადააბრუნა.

მეორე კაცმა მხარული გაჰკრა და ნაპირისკენ გაცურა.

— ვაიმე, ვიღუპები! — შესძახა პირველმა.

— ხელები გაანძრიე! — ურჩია მეორემ.

— ცურვა არ ვიცი!

— მაშ მთელი ცხოვრება დაგიკარგავს!

**მთქმელი ს. დავითაშვილი**
**თელავი, სოფ. წინანდალი.**

---

**ეს დღეები დიდხანს ემახსოვრებათ უნივერსიადის მონაწილეებს და იმათაც, ვინც თვალს ადევნებდა მოსკოვში გამართულ დაძაბულ ბრძოლას მსოფლიო სტუდენტთა შორის.**

**ათი დღის განმავლობაში მოსკოვის უდიდეს ნაგებობაზე — ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე ლუჟნიკში, სპორტის სასახლეში, სოკოლნიკის ახალ დარბაზში და სხვა სპორტულ არენებზე, მიმდინარეობდა სამოცდათერთმეტი ქვეყნის სტუდენტთა პაექრობა.**

**საბჭოთა სტუდენტებმა პირნათლად მოიხადეს ვალი სამშობლოს წინაშე და მოიპოვეს ყველაზე მეტი ჯილდო — 68 ოქროს, 36 ვერცხლის და 30 ბრინჯაოს მედალი.**

**საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში საქართველოდან გამოდიოდა თორმეტი სპორტსმენი; ჭიდაობაში (ორივე სახეობაში) — 6. მძლეოსნობაში და კალათბურთში — ორ-ორი, ჩოგბურთში და წყალბურთში თითო. ჩვენი რესპუბლიკის თორმეტი წარმომადგენლიდან რვამ ათი ოქროს მედალი მოიპოვა, ხოლო დანარჩენმა ოთხმა ვერცხლის. აი ისინიც, უნივერსიადის ქართველი რაინდები.**



◀ ზურაბ საკანდელიძე შეტევაზე.

**ფოტო მ. დათიკაშვილისა**
**და**
**ა. სააკოვისა.**

საბჭოთა გუნდის მეძრომემ ნოდარ მოდებაძემ ბეჭებზე დასცა მოწინააღმდეგე. ▼



## გამოცანები

ერთ ჭრელაჭრულა მინდორზე
შებმულა ორი ლაშქარი,
ბრძოლაა, მაგრამ არ ისმის
ხმაური ხმლის და ჩაჩქანის.
(ჭადრაკი)

ყინულის კაბა შევკერე, მაღლა
დავკიდე დარითა,
ვაი თუ ჩამომივარდეს, დავიწვა
ცოდო-ბრალითა.
(ტყუილი)

მიდის, მიდის მირაკრაკებს, დადგება
და გაიშლება.
(ცხვრის ფარა)

უსულოს და უაზროსა,
სულიერი ჰკითხავს დროსა.
(საათი)

მართალია, თვითონ იგი
წყალში იბადება,
მაგრამ წყლისა ეშინია,
წყალში იკარგება.
(მარილი)

თანდათან პატარავდება,
კოცნა კოცნაში თავდება.
(პაპიროსი)

თეთრად გავჩნდი, მწვანედ ვიქეც,
მზით გავშავდი, გემო მიქეს.
(მაყვალი)

## გამახალისე ფანდურო

გამახალისე ფანდურო,
ამიხმიანე ენაო,
რა ლექსიც დამიმღერია,
შენი ბრალია ყველაო,
რაიც ვერ მითქვამს კარგადა,
ესეც გბრალდება შენაო.
დუმილი გულის ჟანგია,
სიმღერა გულის მალამო,
ხელით გატარებ დარშია,
ავდარში უბეს გმალავო,
შენი ხმით გალაღებული,
თუნდ მყინვარწვერზე ავალო.

მთქმელი გ. რუხიაშვილი.
თიანეთი, სოფ. საყდრიონი.

## მოგემატება ლაზათი

მიყვარხარ, გულით მიყვარხარ,
თუშეთო, მუდამ მზიანო.
მიტაცებს შენი კალთები,
ეგ შენი კლდენი ფრიალო.
მთაო, შენ სილამაზითა,
იქნებ, ხალხ მოატრიალო,
აქ იწყონ მუდმივ ცხოვრება,
სოფლები გაახმიანონ,
მოგემატება ლაზათი,
ისედაც ლაზათიანო.

მთქმელი მ. ბოხაჩაური
ახმეტა, სოფ. ხახაბო

## ჩემო თუშეთო

თუშეთო, ჩემო თუშეთო,
გადახატულო ათასად,
შენს იალაღებს ზეზვაის
რაშის ფაფარი ფარავსა.
გულიც რომ მსხვერპლად მომთხოვო,
მოგიტან როგორც ლალასა.

მთქმელი ი. ბუაჩიძე.
ახმეტა, სოფ. ჯვარბოსელი.

## მწყემსის სადღეგრძელო

გაუმარჯოს ცხვრის მადლს,
ძროხის ჯიქანს,
ხარის ქედს,
ცხენის მუხლს,
ძაღლის თვალ-ყურს,
ვაჟკაცის მარჯვენას,
ქალის ნამუსს!

მთქმელი ნ. ჯაგადონიძე
ახმეტა, სოფ. დიკლო.

## ნ ა ტ ვ რ ა

ქვათანას ორბი ნადირობს,
ისმის ხოხბების წივილი.
ქალო, შენ იქით, მე აქეთ,
ვინ იცის გულის ტკივილი.
ქალო, მე აქეთ, შენ იქით,
გულს შენი შუქი დამეცა,
ნეტავი ერთად შეგვეყარა,
მზეც ერთად გვეჩონდეს, მთვარეცა.
ორივეს დაგვახურინა
ერთი მწყემსური ნაბადი,
სამარეც მოგვცა საერთო,
ციური ცვარით ნაბანი.
ჩვენ შუა წყარო დიოდეს,
შიგ ვერცხლის თასიმც დგიანა,
ამომვლელმა და ჩამვლელმა
ჩვენზედ შენდობა თქვიანა.

მთქმელი ნ. ჯაგადონიძე.
ახმეტა, სოფ. დიკლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# უნივერსიადის ქართველი რაინდები



რომან რურუა დარიგებას აძლევს ესტატე გოგლიჩიძეს ხალიჩაზე გასვლის წინ.







ლევან თედიაშვილი ამერიკელ სპორტსმენთა შორის.

ანატოლი მოშიაშვილი და ავსტრიელი დ. დოუნი.

ვიქტორ სანეევი.

უცხოელი სპორტსმენები თეიმურაზ კაკულიას ჩემპიონის წოდებას ულოცავენ.





# მისალოცი

### ნიკა აგიაშვილი 70 წლისაა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისში ცხოვრობს და შრომობს ერთი ჩუმი და წყნარი კაცი, ქართული მწერლობისათვის აუცილებელი პიროვნება. ქართული სიტყვის ტრფიალია და დიდად აფასებს სიტყვაკაზმული მწერლობის მსახურთა ღვაწლს, რადგან თვად გახლავთ ამ საქმის ერთ-ერთი მოჭირნახულე. ჩვენს ნიკაზე, ნიკა აგიაშვილზე მოგახსენებთ. ახლახან იგი ღვაწლმოსილთა პლეადას შეუერთდა. ალალი შრომით, მწერლობის ერთგულებითა და სიყვარულით გატარებული სამოცდაათი წელიწადი უკან ჩამოიტოვა და მერვე ათწლეულის აღმართს შეუდგა მისთვის ჩვეული სიმხნევითა და გატაცებით. ჯერჯერობით მის მხრებს არ ემჩნევა წლების სიმძიმე, არ იშურებს ხალისიან სიტყვას და, ეტყობა, კიდევ ბევრი კარგი საქმის გაკეთებას აპირებს.

ოცდახუთმეტ წელიწადზე მეტია ვიცნობ ნიკა აგიაშვილს. აქ, ჩვენთან. მწერალთა სასახლეში გავიცანი. ყრმა პოეტს მხოლოდ რამდენიმე ლექსი მქონდა გამოქვეყნებული. გაცნობის პირველი დღიდანვე დავუახლოვდი და დღესაც გრძელდება ჩვენი მეგობრობა. ნიკა ქართულ მწერლობაში ბევრი ჩემი ამხანაგის ლიტერატურული ნათლიაა და ამიტომაც უმადლიან მას ჩვენი სიტყვის ოსტატები. იგი ჩემი ნათლია არ ყოფილა, მაგრამ დიდი ამაგი დაგვდო მე და ჩემს მეგობრებს.

ნიკა აგიაშვილი სამწერლო ასპარეზზე ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდის გამოსვლის მომსწრეა და ერთ-ერთი პირველი ხელისშემწყობი. ლიტერატურული ახალგაზრდობისადმი მზრუნველობა დიდ ადამიანურ თვისებად გამოუმუშავდა, პროფესიად გადაექცა. პირველად ეს ვიგრძენით დიდი ხნის წინათ მე და ჩემმა მეგობრებმა, ჟურნალ „ჩვენი თაობის" ირგვლივ შემოკრებილმა ჭაბუკებმა. იმ ხანებში ნიკა ქუთაისიდან ხელახლა დაუბრუნდა თბილისს. ახალგაზრდული ჟურნალის „ჩვენი თაობის" რედაქტორმა ირაკლი აბაშიძემ მიიწვია რედაქციის მდივნად, დღისდღესავით მახსოვს, თავის ძველ მეგობრებთან ერთად როგორი აღფრთოვანებითა და სიყვარულით შეუდგა იგი ახალ, დიდსა და კეთილშობილ საქმეს.

ნიკა აგიაშვილი შესანიშნავი მთარგმნელი, სტილისტი და მექართულეა. მრავალი მძაფრი კრიტიკული წერილის ავტორი, ცუდის განმქიქებელი და კარგის — წამხალისებელი. განსაკუთრებით გამოვყოფდი მის მიერ სერვანტესზე დაწერილ მეტად საინტერესო ბიოგრაფიულ წიგნს. ნიკა ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების პირუთვნელი მემატიანეა. ამას ადასტურებს მისი მრავალი წლის ნაშრომი „ჭაბუკები დარჩნენ მარად". ეს წიგნი, თუ არ ვცდები, სამჯერ გამოიცა, მაგრამ მაინც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. ნიკა ჩინებული, სანიმუშო რედაქტორია, მომთხოვნი, სამართლიანი და გამგებელი. ბევრი ჭკვიანი ავტორი და მთარგმნელი ნატრობს ნიკამ ურედაქტოროს მის წიგნს, რადგან ნიკას გამჭრიახ თვალს არ გამორჩება, არ გამოეპარება არც ერთი შეცდომა, ანდა უნებლიე ლაფსუსი.

სად არ უმუშავია ნიკას, რომელ რედაქციაში, გამომცემლობაში! „ახალგაზრდა კომუნისტი", „სტალინელი", „სიტყვა და საქმე", „ჩვენი თაობა", „კომუნისტი", „დროშა", „მნათობი", და ბოლოს — გამომცემლობა „მერანი". ყველგან იყო ყოველივე კარგისა და ახლის წამომწყები, სულისჩამდგმელი და განმხორციელებელი. სიყვარულით აკეთებდა ყოველგვარ საქმეს. დიდ სამამულო ომშიც იყო და ღირსეულად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე. ახლახან შევხვდი ნიკას, გამალებული მიიჩქაროდა ლიტერატურულ მუზეუმში — გალაკტიონის ცხოვრების სურათების ალბომით ხელში. მითხრა, საბოლოო რედაქციას ვუკეთებთო ალბომს. ამ წიგნს, ალბათ, მალე იხილავს მკითხველი და მჯერა, უსათუოდ ნიკას მადლიერი დარჩება.

სულითა და გულით ვულოცავ ჩემს ძვირფას მეგობარს დაბადების დღეს. სამოცდაათი წელიწადია ძგერს ნიკა აგიაშვილის კეთილი გული, აქედან ნახევარი საუკუნე ქართული მწერლობის სამსახურში გალია. დიდხანს გვსმენოდეს მისი მშვენიერი სიტყვა!

**რევაზ მარგიანი**

მეგობრული შარჟი
თენგიზ გოგოლაძისა.

ნიკა აგიაშვილი სამოცდაათი წლისაა. აქედან მრავალი წელი ჟურნალ „დროშის" სამსახურს მოახმარა. ახლა იგი გამომცემლობა „მერანში" მუშაობს, მაგრამ ერთი წუთითაც არა ვგრძნობთ, რომ იგი ჩვენს რედაქციაში არ არის. იგი მუდამ ჩვენთან ტრიალებს, მამობრივი სითბოთი გვავსებს და მუდამ ჭაბუკური ცეცხლით გვანთებს.

ჟურნალ „დროშის" რედაქცია გულითადად მიესალმება ძვირფას იუბილარს, უსურვებს მას დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და მუდამ ახალგაზრდულ შემართებას.

# დააკვირდი

### აფორიზმები

სიცოცხლის გახანგრძლივების მთელი საიდუმლოება ის არის, რომ არ უნდა შემოიკლო იგი და არც სხვას შეუმოკლო. **ფეიხტერსლებენი.**

აზრი აქვს მარტო იმ ცხოვრებას, რომელიც სხვებისათვის შეგიწირავს. **აინშტაინი.**

ცხოვრება არ ისე ხანმოკლეა, რომ არ გეყოს დრო ზრდილობიანი იყო. **ემერსონი.**

ადამიანის გონება მეხსიერების გარეშე ჰგავს ციხე-სიმაგრეს, რომელსაც გარნიზონი არა ჰყავს. **ნაპოლეონი.**

თავაზიანობით მეტს გაიტან, ვიდრე ძალადობით. **შოპენი.**

როცა ძალა და სიმართლე შეერთდებიან, რა უნდა იყოს ამაზე უფრო უძლეველი. **ესქილე.**

ირონია — გამბედაობაა უძლურისა. **ბერტე.**

აპატიო — ადვილია, — დაივიწყო — ძნელი. **პლატონი.**

მხოლოდ ძლიერს შეუძლია აპატიოს. **ოუეშიკო.**

ბოროტმოქმედს სჭირდება მხოლოდ მიზეზი. **არისტოტელი.**

ვინც მარტო რჩება, — დაღუპულია. **პანტე.**

საიდუმლოდ მოტანილ ამბავს ხშირად ცუდი სუნი უდის. **ცვაიგი.**

უძლურ ქვეყანაში სამართალი არ ჰრის; იგი მხოლოდ ძლიერ ქვეყანაში მეფობს. **ბარესი.**

სამართალი მხოლოდ მაშინ ზეიმობს, როცა მისი დადგენისას მოვალეობის გრძნობა გვამოქრავებს. **ბუდე.**

ბუნებას ადამიანისათვის არ მიუცია უფლება სხვაზე იბატონოს. **დიდრო.**

სამართალი სიბრძნისაა და არა ძალისა. **ჟუმერი.**

სამართლის მიზანი მშვიდობის დამყარებაა, — საშუალება კი ბრძოლა. **ირვინგი.**

უარის თქმა უპირატესობაზე არ არის უფლების შელახვა. **კუპერი.**

წესიერია ის, ვინც თავის უფლებას ზომავს თავისი მოვალეობით. **ლაკორდერი.**

სამართალი კი არ წარმოშობს მოვალეობას, არამედ მოვალეობა — სამართალს. **შატობრიანი.**

ყოველ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს საკუთარი აზრი იმ პირობით, თუ ის ემთხვევა ჩვენს აზრს. **ჰენრიხ შოუ.**

არ შეიძლება განკურნო ავადმყოფი, თუ ის ჯანმრთელად თვლის თავს. **აბელი.**

პირველი პირობა გამოსწორებისა არის, იცნო შენი დანაშაული. **სენეკა (უფროსი).**

მოსამართლეს უნდა ახსოვდეს, რომ მისი საქმეა კანონის განმარტება და არა მისი ჩუქება. **ბეკონი.**

კანონი უცვლელია, როგორც დილით, ისე საღამოს. **ჰერბერტი.**

კანონი ადამიანის სიბრძნის უმაღლესი გამოაშკარავებაა, რომელიც ხალხთა გამოცდილებას იყენებს საზოგადოების კეთილდღეობისათვის. **სემუელ ჯონსონი.**

# ასი წლის წინ




ეროვნული ბიბლიოთეკა

### ირლანდიის განმათავისუფლებელი მოძრაობა „დროების“ ფურცლებზე

**ქვ**ᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ პროგრესული საზოგადოებრიობა დაძაბულად ადევნებს თვალყურს ინგლისელი კოლონიზატორების „მისიას“ ჩრდილოეთ ირლანდიაში „წესრიგის“ აღსადგენად. იღვრება პატრიოტების სისხლი. ინგლისის პრემიერ-მინისტრ ჰიტის მთავრობა არავითარ ზომებს არ ერიდება ირლანდიელი ხალხის პატრიოტული მოძრაობის სისხლში ჩასახშობად...

ირლანდიელი ხალხის ბრძოლას ინგლისელი კოლონიზატორების წინააღმდეგ დიდი ხნის ისტორია აქვს. ინგლის-ირლანდიის კონფლიქტი განსაკუთრებით გამწვავდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როცა ინგლისის მთავრობას სათავეში ედგა უილიამ გლადსტონი (1809-1898 წწ.).

XIX ს. 70-80-იან წლებში ირლანდია განიცდიდა აგრარული კრიზისის მძიმე გავლენას, რასაც შედეგად მოჰყვა ირლანდიის გლეხობის კლასობრივი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდა. ამასთან ერთად ინგლისის პარლამენტში ოპოზიციური მოძრაობა გააძლიერეს ირლანდიის ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა პარნელის მეთაურობით, რომლებიც მოითხოვდნენ ბრიტანეთის იმპერიის ფარგლებში ირლანდიის თვითმართველობის, პარლამენტისა და მთავრობის შექმნას.

ქართველი საზოგადოებრიობა დიდ ინტერესს იჩენდა ირლანდიაში შექმნილი ვითარებისადმი და თანაუგრძნობდა ირლანდიელი ხალხის ბრძოლას ინგლისელი კოლონიზატორების წინააღმდეგ. ქართულ პერიოდულ პრესაში, კერძოდ გაზეთ „დროებაში“ ქვეყნდებოდა საყურადღებო ცნობები ირლანდიის შესახებ სპეციალური რუბრიკით — „პოლიტიკა“. გაზეთის 1866 წლის 43-ე ნომერში აღნიშნულია, ირლანდიაში გავრცელებულია უკმაყოფილება, დღეს თუ ხვალ რევოლუცია მოხდება, მაგრამ მიწის მეპატრონეებს მაინც მოსვენებით სძინავთ, რადგან იციან, რომ „ანგლიის ჯარი იფარავს იმათს შემოსავალს და უფლებასო“.

„დროების“ პოლიტიკურ მიმომხილველს შესანიშნავად ესმის, რომ ირლანდიის „ძლიერნი ამა სოფლისა“ შორს დგანან ხალხის პატრიოტული მოძრაობისაგან, რომ ინგლისის ჯარები მათთვის უზრუნველი, „წყნარი ცხოვრების“ გარანტიაა.

ინგლისის მმართველი წრეები უკიდურესი რეპრესიული ზომებით ცდილობდნენ წერტილი დაესვათ ირლანდიელი ხალხის ბრძოლისათვის. თავისუფლებისათვის მებრძოლთა მიმართ ინგლისელი კოლონიზატორები იყენებდნენ დასჯის ბარბაროსულ მეთოდებს. ირლანდიელ პატრიოტთა აუტანელი მდგომარეობის შესახებ საყურადღებო მასალაა გამოქვეყნებული 1867 წლის 3 მარტის „დროებაში“. გაზეთში ვკითხულობთ: „ერთ ანგლიის გაზეთში დაბეჭდეს ერთი ფენიელის (ირლანდიის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი პარტია — გ. შ.) მოთხრობა თავის მდგომარეობაზედ დაჭერის შემდეგ; საშინელ ზამთარს, ყინვაში წვანან ეს უბედურები მთლად შიშველნი, ცივ ქვის იატაკით დაგებულ სენაკში; მათ ართმევენ არამც თუ მარტო ფლანელს, ყოველს ტანსაცმელსაც“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ირლანდიელი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისათვის ხელმძღვანელობდა ირლანდიის ფრაქციის ლიდერი ინგლისის პარლამენტში პარნელი. მის ოპოზიციურ მოღვაწეობას შეეხო გაზეთი „დროებაც“. თავის ერთ საჯარო გამოსვლაში პარნელს განუცხადებია, „ირლანდიის ეხლანდელი საქმე მარტო სამიწაწყლო საქმე კი არ არის, არამედ ინგლისისაგან ირლანდიის სრული განცალკევების საქმეც არისო“. სწორედ ასეთი ოპოზიციური მოღვაწეობის გამო ინგლისის პარლამენტში პარნელი ირლანდიელი ხალხის სათაყვანო კერპად იქცა. ირლანდიაში მისი პოპულარობის ნათელსაყოფად მოვიტანთ ერთ საყურადღებო მასალას 1880 წლის „დროებიდან“. როგორც გაზეთიდან ვგებულობთ, „ირლანდიის სამიწაწყლო ლიგის“ წევრებს მიუწერიათ წერილი მართლმსაჯულების მაღალი რანგის ინგლისელი მოხელისათვის, რომელიც დაუმთავრებიათ შემდეგი სიტყვებით: „ირლანდია გვარტომობაა! ეშმაკებს ჩაბარდეს დედოფალი ვიქტორია! დღეგრძელობდეს პარნელი, ჩვენი მეფე“.

ვფიქრობთ, ეს მასალები გაზეთ „დროებიდან“ ირლანდიის განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი ქართველი საზოგადოებრიობის ცხოველი ინტერესის მკაფიო დადასტურებაა.

**გურამ შენგელია,**
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

## ჩრდილოეთ ირლანდია

ვერა და ვერ დამყარდა მშვიდობა ჩრდილოეთ ირლანდიაში. მართალია, დაიშალა ჩრდილოეთ ირლანდიის პარლამენტი — „სტორმონდი“, რომელიც იუნიონისტთა პარტიას ერთმმართველობაში ეხმარებოდა, მაგრამ მისმა შემცვლელმა „ანსამბლეამ“ ვერც ერთი პრობლემა ვერ გადაჭრა. შევიწროებული უფლებების მქონე ანსამბლეისათვის, რომელიც ინგლისის ხელისუფალთა და პროტესტანტ ექსტრემისტების გავლენის ქვეშაა მოქცეული, ძნელი გადასაჭრელია ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური პრობლემები. ამ პრობლემებს ღრმადაქვთ გადგმული ფესვები ქვეყნის შიგნით.

ქვეყანაში ინგლისური რეგულარული ჯარი განუსაზღვრელი დროითაა მოკალათებული. ქალაქების და სოფლების ქუჩებში დაჰქრიან ინგლისელთა ჯავშანტრანსპორტიორები.

ეს ფოტოსურათი თვალნათლივ ხატავს იმ ძალადობისა და ტერორის ატმოსფეროს, რაც ირლანდიელთა ქვეყანაში ბრიტანეთის ხელისუფლებმა მოიტანეს. ყოველდღიურად ბელფასტელმა ბავშვებმა, სკოლაში მიდიან თუ შინ ბრუნდებიან, აუცილებლად ინგლისელ ჯარისკაცთა მწყობრის შუა უნდა გაიარონ.



# ვინ გახდება ახალი ჩემპიონი?



მართლაც, არ გაინტერესებთ, ვინ გახდება მსოფლიო ჩემპიონი ფეხბურთში? თუ თქვენ გულგრილი არ ხართ ამ ყველაზე პოპულარული და საყვარელი თამაშის — ფეხბურთის მიმართ, როგორ შეიძლება ყოველი 4-წლიანი ციკლის გარკვეულ პერიოდში (მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის გათამაშება ხდება სწორედ 4 წელიწადში ერთხელ) არ დაინტერესდეთ ამ აქტუალური საკითხით: ვინ იქნება ახალი გვირგვინოსანი?

ფეხბურთის დილეტანტს რა ენაღვლება. აჩვენებენ რამე თამაშს ტელევიზიით — ნახავს, ატეხავს სპორტული პრესა ხმაურს რომელიმე მნიშვნელოვანი მოვლენის გამო — აყვება ფეხისხმას და მოცლილობის ჟამს ცოტას გულს გადააყოლებს.

ჩვენ ვიკითხოთ, ვინც ფეხბურთის უკურნებელი სენით ვართ შეპყრობილი და მის იქით გზა არა გვაქვს. მძიმე ხვედრი გვაწევს ამ საფეხბურთო „ძმობის" ყოველ წევრს: ყველაფერი ზუსტად, შეუცდომლად და დროულად უნდა იცოდე, არც ერთი ახალი სახელი არ გამოგრჩეს, დაზუსტებით იცოდე მსოფლიოს საფეხბურთო ცხოვრების უწვრილმანესი დეტალები, ზედმიწევნით იცნობდე ფეხბურთის საერთაშორისო იერარქიის ყოველ საფეხურს. დაგიფაროს ღმერთმა, რომელიმე სახელი შეგეშალოს, ან რაიმე ამბავი არასწორად თქვა. ნამდვილი გულშემატკივარი ზედაც აღარ შემოგხედავს მეორედ. სამუდამოდ გაგიტყდება სახელი როგორც პროფანს და უმეცარს.

ამიტომ, მოდით, ფეხბურთის მცოდნეთა ჩვენს დღევანდელ საუბარში ხელს ნუ შეგვიშლიან ისინი, ვინც სტადიონზე არ დადის, ვისაც მატჩების ტრანსლაციის დროს სხვა არხზე გადაჰყავს ტელევიზორი და მეორეხარისხოვანი კონცერტის ნახვა ურჩევნია ფეხბურთს.

მაშ ასე: „დროშის" ფურცლებზე თავი მოვიყარეთ მხოლოდ ნამდვილმა გულშემატკივრებმა და პროფესიული პრობლემები გვაწუხებს, დღის წესრიგშია ერთ-ერთი მათგანი — ვინ გახდება მსოფლიო ჩემპიონი?

მაგრამ ფეხბურთის მოყვარულებთან არც ისე იოლია დავა. ზოგიერთი შეგვედავება კიდეც, რა დროს ჩემპიონის ვინაობაზეა ლაპარაკი, როცა ჯერ ფინალისტთა ვინაობა არც კი ვიცითო. ვის გარშემო ვდავობთ?

მართალია სახლს სახურავიდან არავინ აშენებს. ჯერ უნდა იცოდე, ვინ არიან პრეტენდენტები, რომ მათი რიცხვიდან ამოარჩიო „პრიმუს ინტერ პარესი", ე. ი. უეჭველი ფავორიტი. ამიტომ, მოდით, უცვლელი დავტოვოთ თვით საკითხის არსი, ოღონდ სახე შევუცვალოთ ფორმას: ვინ შეიძლება გახდეს ჩემპიონი, ვინაა დღეს საერთაშორისო ფეხბურთში ისეთი, რომ მას მივაკუთვნოთ პრიორიტეტი საგაისო ჩემპიონატის ბატალიებში?

აი, ამ კონკრეტულ საკითხზე ახლა თვით ფეხბურთის ცნობილ მიმომხილველთა და სპეციალისტთა უმეტესობაც კი მხრებს იჩეჩავს. ვერსად, ვერც ერთ უცხოურ თუ ჩვენს ჟურნალ-გაზეთში, სპეციალურ გამოშვებაში, სარეცენზიო წერილში ვერ მიაგნებთ ავტორს, რომელიც კატეგორიულად ამტკიცებდეს — ესა თუ ის გუნდი მიმაჩნიაო ფავორიტად.

ამას წინათ რომელიღაც გაზეთში ცნობა გამოჩნდა, სამხრეთ ამერიკაში ვიღაც მკითხავმა ქალმა იმარჩიელა, მსოფლიო ჩემპიონი უეჭველად არგენტინის ნაკრები გახდებაო, თუმცა ისიც დაუმატა, ფეხბურთისა მე არაფერი გამეგებაო. აბა, ვინ რას დაუჯერებს სამხრეთამერიკელ მკითხავს? მარჩიელობით და სპირიტიზმით რას გაიგებ ფეხბურთში?

აი, სწორედ ამ ფაქტორების გულდასმითმა ანალიზმა მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მსოფლიო ფეხბურთს დღეს არა ჰყავს ერთი მკვეთრად გამოკვეთილი ფავორიტი, გუნდი, რომლის თამაშისა და შედეგების დაკვირვებულმა ანალიზმა უფლება მოგვცეს გადაჭრით ვთქვათ — ესა და ეს გუნდი იქნება ჩემპიონიო.

ბოლო ხანებამდე დიდების შარავანდედით იყვნენ შემოსილი მსოფლიოს სამგზის ჩემპიონები — ბრაზილიელები. „ტრიკამპეონებმა" (ასე უწოდებენ ოქროს ქალღმერთის სამგზის მფლობელებს) წლევანდელ ზაფხულამდე ავტორიტეტულად და შეულახავად ატარეს თავიანთი პრესტიჟი და 35 საერთაშორისო მატჩი ისე ჩაატარეს, რომ დამარცხებას მათთან საქმე არა ჰქონია.

ჩემპიონები მძლეთამძლე ზევსის როლში იმყოფებოდნენ და მათი ჭექა-ქუხილი მთელ საფეხბურთო სამყაროს აზანზარებდა. მაგრამ, აი, ჩამოვიდნენ „ზევსები" ევროპაში და სასწაული ამბები მოხდა: წაგებები იტალიელებთან — 0:2, შვედებთან — 0:1, ფრე ავსტრიელებთან —1:1, და საკმაოდ უფერული მოგებები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის გუნდებთან (ორივეჯერ — 1:0).

ჩემპიონთა ავტორიტეტი აშკარად შეილახა. ბრაზილიელთა თამაში მოსკოვში ამ სტრიქონების ავტორმა უშუალოდ ნახა და, გიცხადებთ, რომ შთაბეჭდილება იმის ნახევარიც არ იყო, როცა პელეს გუნდმა ზღაპრული თამაში აჩვენა 1965 წელს იმავე ლუჟნიკის სტადიონზე.

პელე! ოჰ, ეს პელე! რამდენი რამ მისცა ამ სასწაულთმოქმედმა ზანგმა ფეხბურთს, რამდენი სიხარული და სიამოვნება მიანიჭა მაყურებლებს მთელ მსოფლიოში. „შავი მარგალიტი", 17 წლის წარმოუდგენელი ვუნდერკინდი, ბოლოსდაბოლოს „ფეხბურთის ღმერთის" რანგამდე ავიდა და მისი თამაშის სანახავად გულშემატკივრები ისე დადიან სტადიონზე, როგორც ქრისტეს თაყვანისმცემლები დადიოდნენ იერუსალიმში.

გამოდის, რომ ბრაზილიის გუნდი ეს არსებითად პელე ყოფილა. გაიხსენეთ, როგორ გაუჭირდათ ბრაზილიელებს ჩემპიონობის შენარჩუნება 1962 წელს, როცა მათი ლიდერი ტრავმირებული იქნა, 1966 წელს კი ისინი მეოთხედფინალშიც ვერ მოხვდნენ, ვინაიდან პელეზე იქ ისევე ნადირობდნენ, როგორც ინდოეთში ნადირობენ ვეფხვებზე და ბოლოს პელეს ნეიტრალიზება მოხერხდა იმით, რომ კაცი მძიმედ დაასახიჩრეს და მწყობრიდან გამოიყვანეს. სხვა გზა ვერავინ გამოძებნა.

მაგრამ გაიხსენეთ მექსიკის ჩემპიონატი, როცა მწარე გამოცდილებით ჭკუანასწავლი პელე ბრძნულად მოქმედებდა შუა მინდორში და მის გარშემო ბრაზილიის ნაკრები აწყობილი მექანიზმივით მუშაობდა.

პელე აღარაა ნაკრებში და არც ბრაზილიის გუნდია ის მრისხანე ძალა, რაც ადრე იყო. პელე არ გახლდათ მოსკოვში და ბრაზილიელებს ყველგან, მინდვრის ყოველ მონაკვეთში „რაღაც" აკლდათ, „რაღაც" არ ჰყოფნიდათ.

სადავო არაა, რომ ბრაზილიის ნაკრებში პირველხარისხოვანი, ექსტრაკლასის ფეხბურთელები გამოდიან. ცეზარის, ჟაირზინიოს, რიველინოს, ზე მარიას, კლოდოალდოსა და სხვათა მაღალი ხელოვნება ეჭვს არ იწვევს, ისინი არნახული ტრიუკების უბადლო ოსტატები არიან, მაგრამ გუნდს აღარა აქვს ის ბრწყინვალება, ის ელვარება, როცა მის რიგებში იგავმიუწვდომელი ფეხბურთელი, პელე გამოდიოდა ხოლმე.

მოგებას არ ვიტყვი და ბურთის გატანა ბრაზილიელთა კარში საბჭოთა ფეხბურთელებსაც შეეძლოთ და გერმანელებსაც. უბრალოდ, სპორტული იღბალი სტუმრეპის მოკავშირე აღმოჩნდა.

წლევანდელმა ევროპულმა ტურნემ გარკვეული ჩრდილი მიაყენა „ტრიკამპეონებს", კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა მათი პრიორიტეტი. ახლა ბრაზილია აღარ მიაჩნიათ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მთავარ მოქმედ პირად. ეტყობა, ამ აზრისა არიან თვით ბრაზილიელებიც, თორემ შინ დაბრუნებისას მათი მწვრთნელი მ. ზაგალო ექსტრაორდინალური ზომების წესით არ შეუდგებოდა გუნდის გაცხრილვას და ახალი მოთამაშეების ძებნას.

ესე იგი ბრაზილია არაა № 1 კანდიდატი. მაშ ვინ?

ერთხანს დიდი რეზონანსი ჰპოვა საერთაშორისო ფეხბურთში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების წარმატებებმა.

— დასავლეთ გერმანიის ნაკრები, მართლაც, დიდებულად გამოიყურებოდა. ეს იყო ჭეშმარიტად თანამედროვე ყაიდის, უკიდურესად რაციონალური, მონოლითური, მძლავრი კოლექტივი, დაფუძნებული მოთამაშეთა შესანიშნავ ინდივიდუალურ ტექნიკაზე, საუკეთესო ფიზიკურ მომზადებაზე, პროგრესულ ტაქტიკაზე.

თუ მხედველობაში იმასაც მივიღებთ, რომ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური თამაშები სწორედ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში უნდა ჩატარდეს, არავისთვის გასაკვირი არაა, თუ რატომ მატულობდა პროგნოზისტთა სიმპათიები გერმანელთა სასარგებლოდ. ეს დამსახურებული სიმპათიები იყო.

მაგრამ როგორც მოწმენდილი ციდან ქუხილი, ისე გაისმა ამბავი, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებმა, და ისიც სად — შინ, საკუთარ მინდორზე, მარცხი იწვნია არგენტინელებისგან — ანგარიშით 2:3.

სენსაციაა? დიახ, სენსაცია, ამტკიცებდნენ გაზეთები. ფეხბურთში რა არ ხდება!

დავიჯერეთ ყველამ, რომ ეს ასეა, მაგრამ გავიდა დაახლოებით ერთი თვე და შელახულმა ფავორიტებმა ახალი სიურპრიზი შემოგვთავაზეს — იმავე მინდორზე იუგოსლავიელებთან წააგეს მატჩი — 0:1.

ახლა რაღას იტყვით? შემთხვევითობაა? ვთქვათ, ორი მატჩის ზედიზედ წაგება შემთხვევითობაა, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ გერმანელები არ არიან ისეთი უძლეველნი, როგორც წინათ გვეგონა, ეჭვს აღარ იწვევს.

ესე იგი — დასავლეთ გერმანიაც არაა ფავორიტი № 1.

მაშ ვინ? დაჯექი ახლა და იტეხე თავი: არგენტინელები თუ ინგლისელები, პორტუგალიელები თუ იტალიელები, ჰოლანდიელები თუ ურუგვაელები, იუგოსლავიელები თუ შვედები?

იქნებ, ჩვენი გუნდი, სსრ კავშირის ნაკრები, რომელიც ზემოჩამოთვლილებს არ ჩამორჩება არაფრით!

მახსოვს, 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინ, საქართველოს ტელევიზიამ კონკურსი გამოაცხადა, თუ ვინ გახდებოდა მსოფლიო ჩემპიონი, თანაც კონკურსში მონაწილეს უნდა დაესაბუთებინა თავისი ვარაუდები.

ამ კონკურსში პრიზი, რაღაც იღბლად, თქვენს მონა-მორჩილს ხვდა წილად. პრიზი ახალთახალი „კოპლებიანი" ბურთი იყო გამოჩენილ ოსტატთა ავტოგრაფებით.

ახლა თქვენ მოგმართავთ, ფეხბურთის მცოდნეებო: მიწინასწარმეტყველეთ, ვინ გახდება 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონი, დამისაბუთეთ თქვენი მოსაზრებები და ის ბურთი თქვენი ფეშქაში იყოს!

მე კი პროგნოზებზე ჯერ ხელს ვიღებ. დავიცდი.

**ზ. ქორქია**

„ლელოს" ფეხბურთის მიმომხილველი.

# ჯადოქარი

კინოაფიშა დასასვენებელ სახლში დილით გააკრეს. აფიშა იუწყებოდა, რომ იმ დღეს რვა საათზე ნაჩვენები იქნებოდა ფრანგული კინოსურათი „ჯადოქარი". საღამო ხანს კინოდარბაზს უამრავი მაყურებელი მოაწყდა. ეს ფილმი, თავისი უჩვეულო სიუჟეტის გამო, ყოველთვის დიდძალ მაყურებელს იზიდავს ჩვენში, მაგრამ ახლა ამდენი ხალხი მარტო ფილმის ნახვის სურვილმა როდი მოიყვანა კინოთეატრში. აქ, შავი ზღვის სანაპიროზე, ყველამ იცოდა, რომ ბიჭვინთის ჟურნალისტთა და კინომუშაკთა სახლში ფილმის მთავარი გმირი — „ჯადოქარი" მარინა ვლადი ისვენებდა.

უკანასკნელი ორი კვირა ფრანგ კინოვარსკვლავს ხედავდნენ ქუჩაში, ხვდებოდნენ ტყეში, ზღვაზე. გამოჩნდებოდა თუ არა სადმე „ჯადოქარი", ბავშვები ყიჟინით დაედევნებოდნენ, ქალები თვალს ვერ აშორებდნენ, მამაკაცები აღტაცებას ვერ მალავდნენ.

ფილმ „ჯადოქარში" მარინა ვლადი თავის თანატოლს, — თექვსმეტი წლის ქალიშვილს განასახიერებდა. დღეს კინოვარსკვლავი სამი შვილის დედაა. უფროსი შვილი თვრამეტი წლის ვაჟკაცია. და მაინც, ეს ქალი დღესაც მომხიბლავია, საოცრადა ჰგავს ფილმში მის მიერ შექმნილ სახეს.

ერთხელ კინოვარსკვლავს ჰკითხეს: — რომელი დღეა ყველაზე ღირსშესანიშნავი შენს ცხოვრებაში?

მან უპასუხა: ასეთი დღე სამია: პირველი — როდესაც დაიბადა იგორი, უფროსი ბიჭი; მეორე — შუათანა პიერი და მესამე — ყველაზე უმცროსი ვალოდია.

კინოვარსკვლავს შვილებზე ამოსდის მზე და მთვარე. სადაც არ უნდა იყოს, სამუშაოზე თუ დასასვენებლად, ბიჭები მუდამ მასთან არიან. ამ რამდენიმე წლის წინათ მარინა ვლადი „მოსფილმმა" მიიწვია ფილმში — „სიუჟეტი პატარა მოთხრობისათვის", სადაც მას ლიკა მიზინოვას როლი უნდა შეესრულებინა. კინომსახიობი ჩამოვიდა მოსკოვში და ბიჭებიც თან ჩამოჰყვნენ. ვიდრე დედა გადაღებით იყო დაკავებული. შვილები მოსკოვის ერთ-ერთ პიონერთა ბანაკში ისვენებდნენ.

შუათანა და უმცროსი ახლაც ახლავან მსახიობ ქალს. უფროსი გაჯიუტებულა, დედას არ წამოჰყოლია. თმა და წვერი მოუშვია, ჩაუცვამს ძველმანები, გუდა-ნაბადი აუკრავს და ჰიპად „ალკვეცილა". დედას არ მოსწონს შვილის ახირება და წუხს, უმძიმს შვილთან განშორება, არ უყვარს, რომელიმე მათგანი რომ მოსცილდება მის თვალს. აქაც მხედველობიდან წამით არ ჰკარგავს ბიჭებს, კრუხივით თავს დასტრიალებს.

...აგერ, ბიჭები ზღვაში შეცვივდნენ. მიცურავენ, ტალღებს მიაპობენ, პატარა ბიჭი ყირაზე დგება წყალში, ტალღას ხან ზევით მოექცევა, ხან ზღვის ფსკერზე ჩადის და იმალება, დედა თვალს არ აშორებს, — ზღვასთან თამაშობს პატარა ბიჭი და დედას ეშინია... „ჯადოქარი" ზღვაში გადაეშვება, ისიც მიცურავს, მიჰქრის გაშმაგებული. დედას ხითხითით ეგებებიან ბიჭები და ახლა ისინი სამნი არიან. ერთად მიცურავენ, მიდიან... მიდიან წინ, წინ, შორს, უკან არ იხედებიან... აქ, ნაპირზე კი მათ მოლოდინში სული კბილით უჭირავს ვინმე ფოტომოყვარულს, რეპორტიორს. ყველას სურს ფირზე აღბეჭდოს ეს სილამაზე, ოღონდ მალულად, კინოვარსკვლავმა თვალი რომ არ მოჰკრას. მსახიობ ქალს მაინცდამაინც არ უყვარს ჟურნალისტები. საკმარისია ამ ქალის პირად ცხოვრებაში მოხდეს რაიმე ახალი, რომ ისინი ჯოგად მიაწყდებიან ხოლმე მის „ციხე-სიმაგრეს" და კისერს იტეხენ, როგორმე შიგ შეაღწიონ. კინოვარსკვლავს მათ მოსაგერიებლად ეზოში უშველებელი ძაღლი ჰყავს დაბმული.

ახლა ის, სიმშვიდეს მონატრებული, მყუდრო ადგილას ჩამოვიდა დასასვენებლად. გამოექცა ყოველდღიურ ცხოვრებას, კინორეჟისორებს, რეპორტიორებს, ავტოგრაფებს, იუპიტერებსა და... ისევ ობიექტივი? ისევ ჟურნალისტები? ერთი და იგივე მომაბეზრებელი შეკითხვები, პასუხები...

— რამდენ ფილმში მონაწილეობდით?

— სამოცდაშვიდში.

— რამდენი წლისამ ითამაშეთ მარჩელო მასტროიანთან ერთად?

— თოთხმეტისამ.

— თქვენი საყვარელი რეჟისორი?

— ორსონ უელსი.

— კინომსახიობებიდან რომელი მოგწონთ?

— ქალებიდან: ჟანა მორო და ანა ჟირარდო.

— მამაკაცებიდან?

— ინოკენტი სმოქტუნოვსკი.

— ამბობენ, რომ ამჟამად ესტრადით ხართ გატაცებული...

— დიახ. ძლიერ.

— როგორ ამზადებთ სოკოს?

და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

ეს ყველაფერი იცის მკითხველმა. ინტერვიუზე შეგიძლია არ შეაწუხო კინოვარსკვლავი. მაგრამ ფოტო? ისე უცქირო მათ მთელი ზაფხული, რომ ერთი სურათი არ გადაიღო? არ გადაიღო „ჯადოქარი" თავის შვილებთან? ამ სურათს ხომ ვერც ერთ ეკრანზე ვერ ნახავს მაყურებელი. დღესაც აქ, ხალხი მათ სანახავად არის მოსული...

* * *

...ვიდრე ფილმის დემონსტრაცია დაიწყებოდა, ვიღაცამ რადიოთი გამოაცხადა ბავშვები თექვსმეტ წლამდე არ დაიშვებიან, ვთხოვოთ დარბაზი დასტოვონო. მე დავინახე, როგორ შეცბა კინოვარსკვლავი, როცა ამ ცნობას მოჰკრა ყური. იგი ჩემს წინ იჯდა. მისი ბიჭები, როგორც ყოველთვის, ახლაც პირველ რიგში, თანატოლებთან მოკალათებულიყვნენ.

— რისთვის? რა არის მიზეზი? რატომ არ უნდა დაასწრონ ბავშვები ფილმს? ფილმში ხომ ომი არ არის? — იკითხა მან და გულდაწყვეტილმა დასძინა: ჩემს პატარა ბიჭს ეს ფილმი ჯერაც არ უნახავს, როგორ მინდოდა...

...კინოდარბაზში პროტესტის ნიშნად დიდი და პატარა აყაყანდა, ბავშვები სკამებს გაეკვრნენ, აქედან ცოცხალი თავით ვერ აგვაგლეჯენო. მერე ვიღაცამ უფროსებთან უშუამდგომლა ბავშვებს და, როგორც იქნა, ჩაქრა სინათლე.

ფილმი დაიწყო. გაისმა მუსიკის მომაჯადოებელი ჰანგები. აგერ, ეკრანზე მოჩანს ტყე, უკაცრიელი, იდუმალი, სავსე ხიფათით, თავგადასავლებით... ტყეში ცხოვრობს ქალწული, ისიც ტყის ნაწილია. მას აქაური მკვიდრები არ ერჩიან, არც ერიდებიან. ჩიტი არ ფრთხება მის დანახვაზე, ხეზე შესკუპებული ციყვი გოგონას ხელიდან მიირთმევს თხილს, შველი მკერდზე ეკვრის. უცოდველია იგი, როგორც ეს შველი, ადამიანებს კი „ჯადოქრად" მოუნათლავთ. სოფელს შერისხული ჰყავს, მაგრამ აი, გამოჩნდა ვიღაც ღვთისნიერი ვაჟი. „ჯადოქარი" ჯერ გაურბის მას, მაგრამ გადის დრო და ეჩვევა... ილვიძებს მასში სიყვარული, ილვიძებს ნდობა ადამიანისადმი, ადამიანებისადმი. გადაწყვეტს, რადაც უნდა დაუჯდეს, მივიდეს სოფელში, ეკლესიაში...





ეროვნული ბიბლიოთეკა

მარინა ვლადი (ზემოთ), მსახიობის უმცროსი ვაჟი ვალოდია თავის ქართველ მეგობარ ირაკლისთან ერთად (ქვემოთ).

ეკრანზე ახლა ეკლესია მოჩანს. აქ კარებს აკვრია ჯადოქარი, ხალხის მსჯავრის მოლოდინშია... ქალებმა შენიშნეს იგი. რისხვით მისჩერებიან. ერთმანეთს ეჩურჩულებიან...

გაყუჩებული, სუნთქვაშეკრული მაყურებელი თვალს არ აშორებს ეკრანს. და აი, „ჯადოქარი" წააქციეს ქალებმა, ფეხებით შედგნენ ზედ და... უეცრად დარბაზში ბავშვმა დაიკივლა.

...ჯადოქარი დაუსხლტა გაავებულ ქალებს ხელიდან და... ახლა კი ბავშვმა გადიკისკისა.

...იქ, ეკრანზე, ადამიანებისაგან თავდაღწეული ჯადოქარი გარბის... გარბის ტყეში, რომ თავს უშველოს. ტყეში მას არავინ ერჩის. იქ, სამშვიდობოზეა, ოღონდაც ჩქარა, ჩქარა... აგერ ტყეც... ერთი გარბენა და ის უვნებელია, მაგრამ... ტყის მისასვლელთან ვიღაცის მიერ მუხანათურად გასროლილი ქვა დაეწია და ჯადოქარი წაიქცა. წაიქცა და დარბაზში ისევ ბავშვმა დაიკივლა.

— დედიკო, დედაა...

დარბაზი ახმაურდა. იქ პირველი სკამიდან დაიძრა პატარა ბიჭის სილუეტი, მას მოჰყვა უფრო დიდი.

აქ, ჩემს წინ, სკამიდან წამოიჭრა ქალი და წინა რიგებისაკენ გაიქცა.

სინათლე აინთო...

შუა დარბაზში იდგა ფილმის მთავარი გმირი „ჯადოქარი", მას გულთან შველივით მიეკრა აცახცახებული ბიჭუნა და ცრემლიან ლოყებს უკოცნიდა. „ჯადოქარს" გვერდში ამოდგომოდა უფროსი ბიჭიც, მიტკალივით თეთრი, საქციელწამხდარი ილიმებოდა...

დედამ ხელები ფრთებივით გადააფარა შვილებს მხრებზე და ისინი კინოდარბაზის გასასვლელისკენ დაიძრნენ...

მათ თან გაჰყვა მაყურებლის ტაშის გრიალი.

**გულნარა ბახტაძე**
ბიჭვინთა.

# ნაირ-ნაირი

ნაირ-ნაირი









## ორი ახალი რეკორდი

იტალიის ქალაქ სორანას მკვიდრს, ორმოცდაათი წლის ატილიო სალვინის საზეიმო ვითარებაში მიენიჭა „1973 წლის ცხვირთა მეფის“ ტიტული.

ახალი ჩემპიონის ცხვირის სიგრძე 64 მილიმეტრია, სიგანე — 38 მილიმეტრი.

ამას წინათ ასევე საზეიმო ვითარებაში მიენიჭა ჩემპიონის ტიტული შვეიცარიელ მძღოლს ჯიმ სტარკს, რომელმაც მანქანით სიგრძეზე ხტომაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

სარეკორდო ნახტომი ჯიმ სტარკმა მიწაყრილიდან გააკეთა. თავბრუდამხვევი სიჩქარით გამოქანებულმა სპორტულმა მანქანამ ჰაერში 43 მეტრი გაიფრინა, უვნებლად ჩაეშვა წყალში და ტაშის გრიალში მოხსნა ძველი მსოფლიო რეკორდი — 36 მეტრი.

## სიცოცხლის ელექსირი

ირანის მკვიდრი აბას ჰაქსარი, რომელიც 1823 წელს დაიბადა, დაბეჯითებით ირწმუნება, რომ მისი ხანგრძლივი სიცოცხლის საიდუმლო შინაგან ხალისიან განწყობასა და იუმორის გრძნობაში იმალება.

ვისაც სურს დიდხანს იცოცხლოს, ამბობს აბასი, ბევრი უნდა იცინოს, არასოდეს არ უნდა გაუტყდეს დარდს, უნდა შეეცადოს ხალისიანი და მხიარული განწყობილება შეინარჩუნოს.

თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე აბას ჰაქსარს ბევრი მწუხარება შეხვდა, ბევრჯერ ჩავარდა გასაჭირში, მაგრამ ყველაფერი დასძლია. იგი არც მაშინ მიეცა სასოწარკვეთას, როცა თავისი უსაყვარლესი ოცდამეთექვსმეტე ცოლი საკუთარი ხელით მიაბარა მიწას.

## დანაშაული და სასჯელი

რიჩმონდელი (ვირგინიის შტატი, აშშ) მოსამართლე როი რაიტი დაბეჯითებით იცავს იმ მოსაზრებას, რომ სასჯელის გამოტანის დროს, მოსამართლემ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს დამნაშავის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათი.

აი, სწორედ ასეთი მოსაზრებიდან გამოდიოდა როი რაიტი, როცა მან საკადრისი სასჯელი მიუზღა ქურდს, რომელმაც საფალარათო ზეთით სავსე ბოთლი მოიპარა აფთიაქიდან.

მოსამართლის მიერ გამოტანილი განაჩენი შემდეგი სიტყვებით მთავრდებოდა:

— ვიდრე მსჯავრდადებული ციხეში იჯდება, ციხის ადმინისტრაციამ როგორც წესი, ყოველდღიურად მას სამი კოვზი საფალარათო ზეთი უნდა დაალევინოს. დაე დამნაშავემ უფრო მძაფრად შეიგრძნოს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის მთელი სიმძიმე.

## თივის სიგრძეა მეტრი, კილომეტრი...

იტალიელმა ქიმიკოსმა კარლო მაცანტიმ, ხანგრძლივი ექსპერიმენტების შემდეგ, შესძლო ლაბორატორიაში დაემზადებინა სინთეტიკური თივა.

როგორც მეცნიერმა განაცხადა, მის მიერ მიღებული ხელოვნური თივა, ბუნებრივ თივასთან შედარებით, გაცილებით უფრო იაფი ჯდება და უფრო ყუათიანია.

„მაცანტის თივა“ — ასე შეარქვეს პირუტყვის ახალ საკვებს, რომელიც საჭმლისა და გამოუსადეგარი ქაღალდის ნარჩენებისაგან მზადდება.

დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ხელოვნური თივა ადვილად ინახება: იგი კარგად იჭრება, იპრესება და კინოლენტივით ნებისმიერი სიგრძის რულონებად შეიძლება დავახვიოთ.

## კროსვორდი



### ჰორიზონტალურად

3. ფრანგი მოქანდაკე. 5. მცენარე, საკმაზად იხმარება. 9. მაჰმადიანთა დღესასწაული. 10. დედამიწის უკიდურესი ჩრდილოეთი ნაწილი. 11. სახვითი ხელოვნების დარგი. 13. ფრანგი მწერალი. 14. მწერი. 15. უნგრელი კომპოზიტორი და მუსიკათმცოდნე. 17. ი. ჭავჭავაძის მოთხრობის პერსონაჟი. 22. მითიური მშენებლის, გამომგონებლის და მხატვრის ვაჟიშვილი. 24. ცნობილი იტალიელი კინოოპერატორი. 25. თანამედროვე ინგლისელი კომპოზიტორი. 26. ქალაქ ტროას მეორე სახელწოდება. 27. სპექტაკლის ან კონცერტის წინასწარი მოკლე განცხადება.

### ვერტიკალურად

1. ქალაქი ინდოეთში. 2. ანტიკური ლიტერატურის ძეგლი. 4. სხვა ქვეყანაში საიდუმლო დავალებით გაგზავნილი პირი. 6. ლიბანის დედაქალაქი. 7. სამეფო სახლის წევრების ტიტული ირანში. 8. ძლიერი, ავადმყოფური მიდრეკილება რაიმესადმი. 11. პოპულარული ფრანგი საესტრადო მომღერალი. 12. მდ. ამურის შენაკადი. 16. ტბა ჩრდ. ამერიკაში. 18. მესაქონლეობის მსხვილი ფერმის პატრონი ლათინურ ამერიკაში. 19. შექსპირის ტრაგედიის პერსონაჟი. 20. ქიმიური ჭურჭელი. 21. რუსი საბჭოთა მწერალი. 23. ჩაკეტილი გეომეტრიული მრუდი.

გადაეცა ასაწყობად 9/IX-73 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/IX-73 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9, ტირაჟი 55.300, შეკვ. № 2984. უე 01977 ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ, 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემალ ლოლუა




—თქვენი ჭირიმე, შემიშვით, ის ქალი ჩემი სიდედრია; ერთი მაგის გულში ჩამახედეთ.



— ვინ არის ეს კაცი საკუთარ თავს რომ მისდგა?
— თვითმომსახურების მაღაზიის დირექტორია, თვითკრიტიკას ეწევა.



— მაგას თუ ნაცნობი არ ჰყავს, როგორ გადაურჩა მეთორმეტედ ამ რევიზორს?



— მომიტეხე ყველი, მოგიტეხავ ჭადს.



←
ფინალური მატჩის გმირები ვლადიმერ გუცაევი და დავით ყიფიანი.

ქრისტეფორე კოლუმბის ეს მშვენიერი ხომალდი „სანტა-მარია", რომელსაც ფოტოზე ხედავთ, თბილისის „დინამოს" ესპანური ნადავლია. დინამოელებმა ეს ჯილდო ქალაქ უელვაში გამართულ ბლიც-ტურნირში მოიპოვეს. აქ ჩვენი გუნდის მეტოქეები იყვნენ: ევროპის სამი ქვეყნის ჩემპიონები — მადრიდის „ატლეტიკო", პორტუგალიის „ბენფიკა" და ინგლისის „დერბი ქაუნთი".

წილისყრამ პირველ მატჩებში ერთმანეთს შეახვედრა მასპინძლები და დინამოელები, „ბენფიკა" და „დერბი ქაუნთი". ამ ორთაბრძოლებში გაიმარჯვეს თბილისელებმა და პორტუგალიელებმა. და აი, ტურნირის გამარჯვებულის გამოსავლინებლად თბილისელები ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთი „გრანდის" — ეუსებიოს გუნდის პირისპირ აღმოჩნდნენ.

დინამოელებმა დიდი აღმავლობით წარმართეს თამაში. ანგარიში დავით ყიფიანმა გახსნა, ხოლო შემდეგი ორი ბურთი ვლადიმერ გუცაევმა გაიტანა. — 3:1. ასეთი ანგარიშით გაიმარჯვეს ჩვენმა ფეხბურთელებმა და ტურნირის თასის „კარაველას" მფლობელნი გახდნენ. „კარაველა" ვერცხლისა და პლატინისაგანაა დამზადებული და შეფასებულია ათი ათას დოლარად.





ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76056